# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 13 მარტი 2007 №55 (2978) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# არგენტინული ორმო: გილერმო

## კანასი ვილასს: ეს შვეიცარიელი მაგარი ყველია



AFP

ისტორია ლაღადებს: ყველა დრო-ჟამი როდესღაც სრულდება და დიდი ისტორიისთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ ეს საჩოგბურთო ერა-ჯაჭვი კვირას გაწყდა — როჯერ ფედერერის მოგებათა 41-მატჩიან სერიას კალიფორნიაში, ინდიან უელსის მაგარსაფარზე დაესვა წერტილი. არა, დიადი ალპელის საჩოგბურთო ბატონობის დასრულებაზე ლაპარაკი ძალიან ნაადრევია. უბრალოდ, „მხიარულ როჯერს“ კიდევ ერთი საყოველთაო რეკორდის დამყარებაში შეუშალეს ხელი: გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს არგენტინელმა გილერმო ვილასმა რაგინდარა საფარზე მიყოლებით 46 მატჩი მოიგო და ფედერერის ალმავალი სერია კალიფორნიაში ჩასვლამდე 41 მოგებას ითვლიდა. 41 ორმოცდაერთად დარჩა. ფედერერი წლეულს პირველად დამარცხდა. ყველაზე მაგარი კი ის გახლავთ, რომ შვეიცარიელს კალიფორნიული მასტერსის პირველივე ტურში დოპინგის გამოყენების გამო ერთი წლით ნაუქმარმა არგენტინელმა გილერმო კანასმა 7:5 6:2 აჯობა.

გილერმომ გილერმოს რეკორდი დაიცვა. არგენტინელმა არგენტინელს რეკორდი შეუნახა.



AFP

# უძრავი ცხოვრების მოძრავი ოცნება

## მილანში ჰოლანდიელი დაფრინავს: რაიკარდი




ძველი მილანელი, ამჟამად კატალონიური „ბარსელონას“ თავკაცი ფრანკ რაიკარდი თურმე მილანში სახლს ყიდულობს.

ვისი რა საქმეა, ვინ სად შეიძენს უძრავ თუ მოძრავ ქონებას, მაგრამ ჰოლანდიელი მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება მაშინ, როცა „შავ-წითლებს“ დალხენილი ცხოვრება არა აქვთ, მართლაც რომ დამაინტრიგებელია.

იტალიური სააგენტოების ცნობით, რაიკარდი ნელ-ნელა უახლოვდება „მილანის“ თავკაცობას.

მოკლედ, კახა კალაძის და მისი თანაგუნდელების ახლანდელ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ალბათ სეზონს ჩაამთავრებინებენ და...

ფრანკ რაიკარდი ერთ-ერთია იმ „მფრინავ ჰოლანდიელთაგან“, რომელზეც მილანის შავ-წითელ ნაწილს მზე და მთვარე ამოსდის და, მოდით, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ფრთიანი ფრაზაც გავიხსენოთ: მოვა დრო, როცა ჩვენს გუნდს რაიკარდ-ვან ბასტენ-გულიტის სამეულიდან ერთ-ერთი გაწვრთნისო...

ამათგან მილანში საბინადროს რაიკარდი ეძებს...

# შეღავათი ოდესიდან, რეკომენდაცია ნაკრებიდან
## როგორ უნდა დაუჯდეს შაშის დუშაში



**დუშან** უჰრინის „დინამო თბილისს" საშუასეზონო პერიოდი ისე წაადგა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მეხუთედან მეორე ადგილზე ალზევდა. მიუხედავად იმისა, რომ „დინამო" თასის მეოთხედფინალში „ამერთან" დამარცხდა, სეზონის მეორე ეტაპზე უწინდელზე მკვეთრად უკეთესად ათამაშდა და ეს მნიშვნელოვნად გუნდის ახალმა ფეხბურთელებმაც განაპირობეს — 27 წლის გიორგი შაშიაშვილი ხელმეორედ დაბრუნდა „დინამოში" და უჰრინის გუნდში ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა.

შაშიაშვილი შარშანაც ამ დროს დაბრუნდა „დინამოში" — მაშინ ის ვლადიკავკაზის „ალანიადან" წამოვიდა ანდრეი ჩერნიშოვის გაწვრთნილ „დინამოში".

— ახლანდელი „დინამო" მაშინდელზე უკეთესია, უჰრინის გუნდი უფრო დალაგებულად თამაშობს. ის უკვე კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს და ეს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება — გვითხრა შაშიაშვილმა.

უჰრინის „დინამო" ფრთხილ ფეხბურთს ამჯობინებს, ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს, თუმც შაშიაშვილი ყოველივეს ასე აყალიბებს: „ერთი ფორვარდით მაშინ ვრჩებით, როცა თავს ვიცავთ, ხოლო როცა ვუტევთ, 4-5-1 სქემიდან 4-3-3-ზე გადავდივართ."

როგორც უნდა იყოს, ჩემპიონატის მეორე წრეში უჰრინის ტაქტიკა ჯერეჯერობით ამართლებს — გუნდმა სამივე მატჩი მოიგო და ლიდერ „ოლიმპის" უახლოესი მდევარია.

„დინამო" წარმატებას ხშირად პრიმიტიული სტრატეგიითაც აღწევს — მაღალი ჩაწოდებები სანდრო იაშვილისკენ, ვინც ლამისაა უკვე „დინამოს" ლიდერადაც იქცეს.

„როცა ბურთის გაგორება ჭირს, ამ ხერხს მივმართავთ. ეს ჩვენმა მეტოქეებმაც კარგად იციან, მაგრამ იაშვილი ხუთი მაღალი ბურთიდან მინიმუმ ოთხს იგებს და მცველებსაც უჭირთ ასეთი შეტევების გამკალვება. ამ სტრატეგიას იმიტომაც ვირჩევთ, რომ საქართველოში ძალიან ცუდი მოედნებია და ასე უფრო გვიადვილდება შეტევა. თანაც, როცა ასეთი ფორვარდი გვყავს, ეს ხერხი რატომ არ უნდა გამოვიყენოთ?! მეორე სართულზე თამაშით იაშვილი საუკეთესო ქართველი ფორვარდია და მიმაჩნია, რომ მას ეროვნულ ნაკრებში აუცილებლად უნდა მისცენ შანსი."

უმრავლესობის აზრი ყოველთვის ჭეშმარიტებას არ ნიშნავს. შაშიაშვილი ბევრს ჩამოწერილი ჰყავდა სანაკრებოდ. ის ოდესის „ჩერნომორეცის" თერთმეტეულში სისტემატურად ვერ ხვდებოდა, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერმა „შაშის" სულ სხვა თვალით შეხედა — ხმელხმელი, ოდნავ აწოწილი, ალღოიანი, ტექნიკური, ორივე ფეხით კარგად მოთამაშე მცველი ნაკრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფეხბურთელად აქცია.

„ზოგი მარტო ფეხბურთელის აღნაგობას და ჯანს უყურებს, ტოპმიოლერი კი უფრო სხვა თვისებებს აქცევს ყურადღებას. მან უკვე კარგად იცის, როგორი ფეხბურთი უნდა ათამაშოს ქართველებს. ჩვენი უმთავრესი ნაკლი არასათანადო ბრძოლისუნარიანობა იყო და თურქეთთან ამხანაგურ თამაშში გამოჩნდა, რომ ამ კომპონენტშიც გვაქვს პროგრესი."

ტოპმიოლერმა შაშიაშვილი ნაკრების უახლოესი თამაშებისთვისაც გამოიძახა — 24 მარტს შოტლანდიასთან და 28 მარტს ფარერებთან. მაგრამ რა იქნება მერე? შაშიაშვილის საკლუბო კარიერა როგორ განვითარდება, ჯერ უცნობია.

„დინამოში" განათხოვრებით ვარ სეზონის ბოლომდე. „ჩერნომორეცთან" კი კონტრაქტი ორი წლის შემდეგ მეწურება. ოდესური კლუბის ხელმძღვანელობა მაიმედებს, მაისიდან გუნდში ბევრი რამ შეიცვლებაო. „ჩერნომორეცი" თავიდან 35 ათას დოლარს ითხოვდა ჩემს სამთვიან იჯარაში, მაგრამ კლუბის პრეზიდენტს ავუხსენი, თუ საქართველოში წავალ, ამხელა თანხას ვერავინ გადაიხდის, თქვენთვისაც უკეთესი იქნება, სათამაშო პრაქტიკის გარეშე რომ არ დავრჩე, „ჩერნომორეცის" დუბლებში თამაშს თბილისის „დინამოში" თამაში ჯობია-მეთქი. „ჩერნომორეცის" პრეზიდენტიც გაგებით მოეკიდა ჩემს ნათქვამს და დიდი შეღავათიც გამიწია."

არა გვგონია, ტოპმიოლერს შაშიაშვილი უკრაინის საშუალო გუნდისთვის ემეტებოდეს და თუ „შაშის" ისევ კარგად წაუვიდა თამაში ნაკრებში, ალბათ არც ტოპმიოლერის რეკომენდაცია დააყოვნებს გერმანული კლუბებისთვის.

**დავით თავართქილაძე**

# სად ტყუის და სად არ ტყუის შედლიხი?
## აუე კიდევ ორი ქართველის ტრანსფერზე ფიქრობს

რაც მეორე ბუნდესლიგა განახლდა, დავით სირაძეს ძალიან იშვიათად უწევს თამაში. აუე-ს მწვრთნელი გერდ შედლიხი ჩვენებურს ოდენ შეცვლებზე ათამაშებს და ისიც ცოტა ხნით. სირაძემ გვითხრა, ეს იმის ბრალია, რომ აუე-მ კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მე კი დამდეგი სეზონიდან უკეთეს გუნდში მსურს თამაშიო. სირაძეს აუე-სთან კონტრაქტი ივნისში ეწურება.
ყოველივე ამასთან დაკავშირებით აუე-ს თავკაც შედლიხს გერმანიაში დავურეკეთ...



— დავით სირაძეს ძირითად შემადგენლობაში რატომ აღარ აყენებთ?

— თქვენთვისაც იქნება ცნობილი, რომ სირაძემ თურქეთთან თამაშში ტრავმა მიიღო და ამის გამო რამდენიმე ხანი არათუ თამაში, ვარჯიშიც ვერ შეძლო. შემდეგ სულ რაღაც 2 დღე ივარჯიშა გუნდთან და ანგინა დაემართა. სწორედ მისი ტრავმა და ავადმყოფობა გახდა მიზეზი იმისა, რომ იგი ამ ბოლო დროს ძირითადში არაა. მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე დაუბრუნდება ჩვეულ ფორმას და ძირითადშიც დაბრუნდება.

— ჩვენ კი ვიცით, რომ აუე-მ მას კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, სირაძემ უარი თქვა და ამიტომ აღარ აყენებთ სასტარტო შემადგენლობაში?

— სირაძეს მართლაც შევთავაზეთ კონტრაქტის გაგრძელება, მას კი პასუხი ჯერ არ უთქვამს, ასე რომ, არც უარი მიგვიღია მისგან და არც თანხმობა.

— დიმიტარ რანგელოვი, ტომას კლინკა და ანჟეი იუსკოვიაკი სირაძეზე უკეთესი თავდამსხმელები გგონიათ?

— არც კლინკა, არც ანგელოვი და არც იუსკოვიაკი არაფრით არ არიან მასზე მეტნი. ოთხივენი ერთი დონის ფეხბურთელები არიან.

— ნახეთ სირაძის თამაში ნაკრებში თურქეთთან ამხანაგურ მატჩში?

— სამწუხაროდ, არ მინახავს, რადგანაც საქართველოში ჩამოსვლა ვერ შევძელი, აქ კი არც ერთი არხი არ გადმოსცემდა ამ თამაშს.

— კლაუს ტოპმიოლერთან და რალფ მინგესთან როგორ აზასიათებთ სირაძეს?

— ტოპმიოლერთან და მინგესთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, ხშირად ვსაუბრობთ ტელეფონით. წინა კვირაშიც დამირეკა მინგემ და სირაძის შესახებ ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, მათ ყოველთვის რეალურ სურათს ვუხატავ, თუმცა სირაძეზე უმეტესად კარგის თქმა მიწევს ხოლმე.

— ყველაზე უფრო რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ სირაძეში?

— სირაძე ძალიან კარგი და კომუნიკაბელური ადამიანია, გუნდში ყველასთვის სასიამოვნოა მასთან ურთიერთობა. პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, ხოლო მისი ერთადერთი პრობლემა გერმანული ენაა, მას ძალიან ბევრი აქვს ამაზე სამუშაო, თუმცა დაუძლეველი არაფერია და იმედია, ცოტა ხანში ეს პრობლემაც აღარ იქნება.

— აუე-ში ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები ბექა გოცირიძე და შოთა გრიგალაშვილი გასინჯვაზე გყავდათ თუ სტაჟირებაზე?

— მათ შესახებ ჯერ კიდევ ვმსჯელობთ, ორივე ძალიან ნიჭიერი და მონდომებულია. მათი ტრანსფერის საკითხი ალბათ აპრილისთვის გადაწყდება.

**ნინო სილაგაძე**

**ინგლისი**
კონფერენსლიგა
XXXVII ტური
ბარტონი 1:0 ფორესტ გრინი

**ჩეხეთი**
გამბრინუს ლიგა
XVIII ტური
ლიბერეცი 0:1 სლავია

**გერმანია**
II ბუნდესლიგა
XXV ტური
კაიზერსლაუტერნი 2:1 მიუნხენი

**უნგრეთი**
ბორსოდი ლიგა
XX ტური
ზალაეგერსეგი 2:0 უიპეშტი

**საფრანგეთი**
II დივიზიონი
XXVIII ტური
რეიმსი 0:2 შატორუ

**არგენტინა**
კლაუსურა
V ტური
ლანუსი 1:2 რასინგი

**პორტუგალია**
სუპერლიგა
XXI ტური
ბენფიკა 2:0 ლეირია

**მექსიკა**
კლაუსურა
IX ტური
ამერიკა 0:0 კრუზ ასული




## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — II წრე. 16 ტური

| | |
|---|---|
| ბორჯომი 1:0 დილა | |
| დინამო 2:1 ამერი | |
| ბათუმი 2:0 ტორპედო | |
| ჩიხურა 0:1 სიონი | |
| ვიტ ჯორჯია 5:1 კახეთი | |
| ოლიმპი 1:1 ზესტაფონი | |
| მერანი 1:1 ლოკომოტივი | |

# სიმწარე და სიხარული
## უფრთხილდით ბოლო წუთებს!

**„დინამოს“** ჩეხი მწვრთნელი დუშან უჰრინი „ამერთან“ ნამატჩევს გაკვირვებული იყო, ასეთ თამაშებს მაყურებელი რატომ არ ესწრებაო. რას იზამ, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ხალხს ძნელად დააჯერებ, რომ შინაურ ფეხბურთში რაღაც კარგი ხდება. არადა, „დინამო“ — „ამერი“ ისეთი შერკინება იყო, დაძაბულობას რომ თავი დავანებოთ, სანახაობრივ მხარესაც ვერ დაიწუნებდა კაცი — ყოველ შემთხვევაში, ეს მატჩი 1000-ზე მეტ გულშემატკივარს ნამდვილად იმსახურებდა.

...მოშიშვლებული ტრიბუნები მტკივნეული და ცალკე განსასჯელი თემაა, ახლა კი მეთექვსმეტე ტური მიმოვიხილოთ, სადაც ორი მყვირალა მატჩი გაიმართა და ისეთი შედეგებით დამთავრდა, სატურნირო ცხრილი უფრო დაიძაბა.

„ამერი“ მეორე სეზონს ატარებს უმაღლეს ლიგაში, ჩემპიონატ-თასიანად მეექვსედ შეხვდა „დინამოს“ და პირველად წააგო, თუმცა... ფეხბურთიც ესაა, სულიკო დავითაშვილმა მთელი მატჩი ღირსეულად ჩაატარა, კოხტა გოლითაც დააწინაურა გლდანელები და ნამდვილად ცოდო იყო, ბოლო წუთებზე პენალტი რომ გააცუდა.

„მიხეილ მესხზე“ იმდენი ყვითელ-წითელი ბარათები ჩამორიგდა, ესპანეთის პრიმერადივიზიონის მატჩებში რომ იცის ხოლმე. „დინამოს“ ჩერნიგორიელი ილია სპასოევიჩი სულაც მოედანზე შესვლიდან სამ წუთში გააძევეს. უჰრინის სამწყსოდან კი გამარჯვების მთავარი შემოქმედები სანდრო იაშვილი და სანდრო კობახიძე იყვნენ: პირველმა თავისივე მონადირებული პენალტი გაიტანა და საგოლე პასიც გააზერხა, მეორემ კი მარცხენა ფლანგზე ჩვეულად ინავარდა.

დრამატული ფინალი ჰქონდა ტურის კიდევ ერთ ცენტრალურ მატჩს: „ოლიმპმა“ რევაზ გოცირიძის ბოლო წამებზე გატანილით გადაარჩინა ქულა „ზესტაფონთან“, რამაც ფეროელთა თავკაცი თემურ მახარაძე გაანაწყენა — ვიდეოფირზე ნანახმა დამარწმუნა, გოლი თამაშგარედან გავიდაო.

რუსთაველთა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა მატჩს ელიტარული უწოდა. თამაშს კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე და ნოდარ ახალკაციც დაესწრნენ, რამაც დამატებითი მუხტი შესძინა ფეხბურთელებს. ვინ იხეირა ამ ფრით? პირველ რიგში, „დინამომ“, რომელიც მეოთხედან მეორე საფეხურზე აცოცდა, „ოლიმპი“ კი კვლავ ლიდერია, ოღონდ ამჯერად არა ოთხი, არამედ სამქულიანი ჰანდიკაპით.

„ვიტ ჯორჯიას“ ახალი წლის შემდეგ ორ მატჩში გოლი არ გაეტანა, აუტსაიდერ თელავის „კახეთთან“ კი ერთბაშად ხუთი შეაგდო და აქედან ერთი ნიკა გელაშვილისა იყო, რომელიც ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

ბოლნისის „სიონმა“ თასზე ოთხი დღის წინანდელი 0:1 უკან მიუტრიალა საჩხერის „ჩიხურას“ — კამერუნელი ბოიომო ფრიდოლინის ეული გოლით იძალა გორში და ოდნავ მიუახლოვდა საევროტურნირო ზონას.

ბოლოსწინა ადგილოსანი „დილა“ ალბათ მხოლოდ „ჩიხურასთან“ თუ შეძლებს კონკურენციის გაწევას, რათა არ გავარდეს. გორელები 7 ქულით ჩამორჩებიან საჩხერელებს და ესეც ვეებერთელა სხვაობაა ქართლელთა გაქანების გუნდისთვის. აი, „ბორჯომი“, „ლოკომოტივი“, „მერანი“ და „ბათუმი“ კი უკვე 13 ქულით გაექცნენ გასავარდნ ზონას. განსაკუთრებით ზღვისპირელთა ყოჩაღობაა აღსანიშნავი, რომლებმაც ოთხ დღეში მიჯრით ორჯერ მოუგეს „ტორპედოს“ — ქუთათურებს გიორგი კიკნაძე აღარ წვრთნის, მის ნაცვლად გუნდს ჯემალ ხერხაძე გაუძღვება.

**ილია ნანობაშვილი**



„ზესტაფონთან“ რევაზ გოცირიძის (№10) გამთანაბრებელი გოლი „ოლიმპმა“ ვანზომელურადაც აღნიშნა




### მეჩვიდმეტე ტური

17 მარტი, შაბათი

- მერანი – ბორჯომი
- ლოკომოტივი – ოლიმპი
- ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
- კახეთი – ჩიხურა
- სიონი – ბათუმი
- ტორპედო – დინამო
- ამერი – დილა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 9-გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 8-ზიზია | ზესტაფონი |
| დვალიშვილი | ოლიმპი |
| 7-ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| გ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | დინამო |
| 6-იონანიძე | ზესტაფონი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 16 | 12 | 3 | 1 | 41:6 | 39 |
| დინამო | 16 | 12 | 0 | 4 | 30:13 | 36 |
| ზესტაფონი | 16 | 10 | 5 | 1 | 27:6 | 35 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 10 | 4 | 2 | 35:18 | 34 |
| ამერი | 16 | 10 | 4 | 2 | 31:10 | 34 |
| სიონი | 16 | 9 | 2 | 5 | 21:13 | 29 |
| ტორპედო | 16 | 8 | 4 | 4 | 18:10 | 28 |
| ბათუმი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:15 | 16 |
| ლოკომოტივი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:22 | 16 |
| ბორჯომი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:27 | 16 |
| მერანი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:29 | 16 |
| ჩიხურა | 16 | 2 | 4 | 10 | 10:27 | 10 |
| დილა | 16 | 0 | 3 | 13 | 8:43 | 3 |
| კახეთი | 16 | 0 | 1 | 15 | 11:50 | 1 |



# ლევანის ლევანტელობა ისევ გადაიდო

**16 წლის** ლევან ყენია სეზონს თბილისის „ლოკომოტივში“ ჩაამთავრებს და ვალენსიის „ლევანტეში“ ჯერ მხოლოდ სავარჯიშოდ ჩავა. ევროპული წესების თანახმად, კლუბს 18 წლამდე არაევროკავშირელ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება არ შეუძლია, ლევანს კი 2008 წლის ნოემბერში შეუსრულდება 18 წელი.

მიუხედავად ამისა, შანსი იყო, ყენიას მანამდე „ლევანტეს“ 1988 წელს დაბადებულთა გუნდში ეთამაშა, თუმცა ვერც ეს მოხერხდა — პრობლემები ისევ საბუთებთან დაკავშირებით წარმოიშვა.

ლევანმა გვითხრა, ვალენსიურ კლუბში დროდადრო ჩავალ ხოლმე სავარჯიშოდ, 18 წლის რომ გავხდები, კონტრაქტს უპრობლემოდ გავაფორმებ, მანამდე კი „ლოკომოტივში“ ვითამაშებო.

**ილია ნანობაშვილი**

# ლეკებმა სამივე ქართველი გაიფორმეს

**მახაჩყალის** „ანჟი“ რუსეთის პირველ დივიზიონში სამი ქართველით ითამაშებს. ომარ თეთრაძის გუნდმა გოჩა ხოჯავასთან სამწლიანი კონტრაქტი რომ გააფორმა, ამასწინათაც გაუწყეთ; დაღესტნელებმა ოდესის „ჩერნომორეციდან“ წამოსული კახა მჟავანაძეც დაიმატეს — ერთ დროს საქართველოს ნაკრების შეუცვლელი მარჯვენა მცველი, სულ ცოტა, ივნისამდე დარჩება „ანჟიში“.

მახაჩყალელთა მესამე ქართველი კი ზურაბ არზიანია. 19 წლის ნახევარმცველმა თურქულ შეკრებაზე რამდენიმე ტესტ-მატჩი ითამაშა და თეთრაძესაც თავი მოაწონა.

„ანჟიმ“ შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა. ბოლო თურქულ საკონტროლო შეხვედრაში ჩვენებურთა გუნდმა გროზნოს „ტერეკთან“ 1:2 წააგო. მჟავანაძემ სრულად ითამაშა, არზიანი 50-ე წუთზე შეცვალეს, ხოჯავა კი მე-60 წუთზე შევიდა შეცვლაზე.

**ილია ნანობაშვილი**

# ერთი გოლი და ახალი კაპიტანი



ლევან ცქიტიშვილი

**გასულ** უქმეებზე ქართველი ლეგიონერები ევროჩემპიონატებში მხოლოდ ერთი გოლით გამოირჩნენ, თუმც იყო საგოლე პასები და... წითელი ბარათები.

მათ შორის, ვინც შაბათ-კვირას იუქმა, ერთ-ერთი *კახა კალაძე* იყო, რომლის „მილანი" დერბიში „ინტერს" შეხვდა, რონალდოს გოლით დაწინაურდა, თუმც საბოლოოდ მაინც დამარცხდა. ჩვენებური ტრავმის გამო განაცხადშიც არ ყოფილა.

ინგლისში *ზურაბ ხიზანიშვილს* კარგი შანსი აქვს, „ბლექბერნთან" ერთად პირველი ტიტული მოიგოს. ასოციაციის თასის მეოთხედფინალში „ვარდებმა" 2:0 მოუგეს „სიტის" და ნახევარფინალს უწიეს. სამწუხაროდ, ზურა ბოლო მატჩებში ძირითადად შეცვლაზე შედის. ასე მოხდა „სიტისთანაც" — ხიზანიშვილმა მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა.

ბუნდესლიგაში კი ისევ ვერ მოიგო *ლევან კობიაშვილის* „შალკემ". ჩემპიონობისთვის მებრძოლმა „ხუმარებმა" თავი იმითლა უნდა დაიმშვიდონ, რომ მათმა კონკურენტებმაც იმავე ოდენობის ქულები დაკარგეს. კობიაშვილი 90 წუთი იყო მოედანზე, თუმც ჩვეულად აქტიურად ვერ გამოიყურებოდა.

მეორე ბუნდესლიგაში *მიხეილ აშვეთიამ* საგოლე პასი მიითვალა. მისი და *გიორგი ლომაიას* „კარლ ცაისი" შინ 1:3 დამარცხდა „კარლსრუესთან". ორივე ქართველმა მატჩი სრულად ითამაშა.

ასევე სრულად ითამაშეს ფრაიბურგელმა *ოთარ ხიზანეიშვილმა* და *ალექსანდრე იაშვილმა*, „ფრაიმ" კი სტუმრად ქულა აიღო „ბურგჰაუზენთან" — 2:2. ჩვენებურთა „ნადავლი" მხოლოდ იაშვილის ყვითელი ბარათი იყო.

„ბრაუნშვაიგთან" 0:1 წააგო აუე-მ. *დავით სირაძემ* ბოლო მატჩებისთვის ჩვეულზე მეტი, 36 წუთი დაჰყო მოედანზე, მაგრამ მისი შესვლით გუნდმა მაინც ვერ იხეირა.

უგოლოდ მორჩა ჰოლანდიაში აზ-67-ისა და „ფეიენოორდის" მატჩი. ეს ალბათ ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ალკმაარელებს ბურთი ვერ გააქვთ. მათი კაპიტანი *შოთა არველაძე* კი აქტიური ვერ იყო და 71-ე წუთზე შეცვალეს.

ერთადერთი ქართული გოლი კი საბერძნეთში გავიდა. ზედიზედ მეორე მატჩია, გააქვს *ლევან ცქიტიშვილს*, რომელმაც ამჯერადაც თერთმეტი მეტრიდან იხეირა. მას მეორედაც შეეძლო გატანა, მაგრამ მორიგ პენალტამდე ცოტა ხნით ადრე შეცვალეს. „პანიონიოსმა" 2:0 მოუგო „იონიკოსს".

დანიაში სტუმრად, „ოლბორგთან" 2:0 იმარჯვა *გიორგი ფოფხაძის* „ვიბორგმა". ფოფხაძე ბოლომდე გაისარჯა და პირველ გოლშიც მიიღო მონაწილეობა.

რუსეთში კი პრემიერლიგის პირველი ტურის მატჩები გაიმართა და კაპიტნის რანგში მოედანზე პირველად გამოჩნდა სამარის „კრილია სოვეტოვის" შემტევი *დავით მუჯირი* სამარელებმა დებიუტანტ „ხიმკის" 1:0 მოუგეს. მუჯირი აქტიური იყო და „სპორტ-ექსპრესის" შეფასებით 6,0 ქულა დაიმსახურა. ამ მატჩში ფეხბურთელთა უმაღლესი შეფასება 6,5 იყო. მუჯირს შეხვედრა სრულად არ ჩაუტარებია — იგი 70-ე წუთზე შეცვალეს.

გაძევებით დაიწყო *გოგიტა გოგუამ* „სატურნის" ქართველმა „ზენიტთან" მატჩში მარჯვენა მცველად ითამაშა და ანდრეი არშავინს რამდენჯერმე ისე ეუხეშა, რომ მსაჯს ორი ყვითელი ბარათი დასტყუა. მატჩი კი 1:1 დასრულდა. გოგუა „სპორტ-ექსპრესმა" 5,0 ქულით შეაფასა.

ტომსკში 0:2 დამარცხდა *ალეკო ამისულაშვილის* და *ლევან გვაზავას* ნალჩიკის „სპარტაკი". ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა და 5,0 ქულა მიიღო, გვაზავა კი 83-ე წუთზე შევიდა მოედანზე და შეფასების გარეშე დარჩა.

5,0 ქულა მიიღო *ლაშა სალუქვაძემაც*, რომელმაც ცსკა-სთან მატჩში პენალტი „აიკიდა" — „რუბინი" კი 1:3 დამარცხდა. მეორე რუბინელი *ნუკრი რევიშვილი* სათადარიგო იყო.

უკრაინის ჩემპიონატში ლიდერ კიევის „დინამოს" საფეხბურთო ომი გამოუცხადა კრივოი როგის „კრივბასმა". კრივოიროგელები მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ და საპასუხო გოლი მეექვსე წამატებული წუთზე გაუშვეს. კრივბასელთა გოლი კი ქართველთა დამსახურებაა — *ვასილ გიგიაძემ* შეტევაში ჩართო *ვლადიმერ ბურდული*, რომელმაც ერთი შეხებით ვიტალი საჩკოს საგოლედ უპასა. ბურდული 82-ე წუთზე შეცვალეს, გიგიაძე — 89-ზე. ვასომ ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო.

საგოლე პასი გააზერხა *ჯაბა კანკავამაც*, მისმა „დნიპრომ" სტუმრად 1:0 მოუგო „ვორსკლას". კანკავას თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ ორ ეპიზოდში მიზანმა უმტყუნა. 79-ე წუთზე კი მის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის მეტოქე მცველს უთავაზა და წითელიც აუფრიალეს.

დონეცკის „მეტალურგის" შემადგენლობაში ადგილი არ ჩანს *გიორგი დემეტრაძისთვის*. სასამართლო პრობლემებმოძალებული თავდამსხმელი არც „ხარკოვთან" შეხვედრაში გამოჩენილა, მისმა „მეტალურგმა" კი ისევ წააგო — 1:2.

ზაპოროჟიეში ქართული დერბი არ შედგა. *დავით კვირკველიას* და *ირაკლი მოდებაძის* „მეტალურგმა" *ილია კანდელაკის* ოდესის „ჩერნომორეცს" 1:0 მოუგო. კვირკველიამ მოედანზე 90 წუთი დაყო, მოდებაძე განაცხადშიც არ ყოფილა. ოდესელთა მწვრთნელი სემიონ ალტმანი კი, ეტყობა, გუნდიდან გაშვებული გიორგი შაშიაშვილის და კახა მჟავანაძის შემდეგ კანდელაკზეც გამწყრალია.

*გიორგი ჭელიძის* ლუგანსკის „ზარიამ" ლვოვის „კარპატი" ისტუმრა და 1:0 მოუგო. ლუგანსკელთა მწვრთნელი ალექსანდრ კოსევიჩი „პაჭელოთი" კმაყოფილია და ლვოველთა წინააღმდეგ შეუცვლელად ათამაშა.

*ლაშა ჯაკობია* კიევის „არსენალის" მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა მოედანზე მაშინ შეუშვა, როდესაც სიმფეროპოლის „ტავრიამ" გოლი გაუტანა, მაგრამ დარჩენილ 25 წუთში ქართველი თავდამსხმელი გუნდს ვერაფერში დაეხმარა.

პირველი წუთები გაატარა ახალი გუნდის შემადგენლობაში მარიუპოლის „ილიჩევეცის" მცველმა *გიორგი ციმაკურიძემ* მისი დებიუტი ყოფილი გუნდის, ალჩევსკის „სტალთან" შედგა. მატჩი უგოლოდ დასრულდა, ციმაკურიძე კი მოედანზე 74-ე წუთზე გამოჩნდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია. სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ინტერი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 1 | 6 |
| გერმანია. ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰანოვერი 1:1 | 90 | | 20 | 3 | 1 |
| გერმანია. მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | ს | ბრაუნშვაიგი 0:1 | 36 | შეცვლაზე შევიდა | 21 | 3 | 6 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | შ | კარლსრუე 1:3 | 90 | | 6 | 0 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | შ | კარლსრუე 1:3 | 90 | საგოლე პასი | 6 | 3 | 15 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 22 | 5 | 7 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ბურგჰაუზენი 2:2 | 90 | | 11 | 1 | 7 |
| ინგლისი. თასი | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | სიტი 2:0 | 45 | შეცვლაზე შევიდა | | | |
| ჰოლანდია. ერედივიზიონი | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ფეიენოორდი 0:0 | 71 | შეცვალეს | 24 | 12 | 2 |
| საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | შ | იონიკოსი 2:0 | 83 | 1 გოლი, შეცვალეს | 15 | 2 | 6 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ატრომიტოსი 3:3 | 90 | | 18 | 0 | 9 |
| უკრაინა. ვიშა ლიგა | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | კრივბასი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | კრივბასი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | შ | ტავრია 0:1 | 25 | შეცვლაზე შევიდა | 8 | 2 | 6 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | | 13 | 3 | 11 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 3 | 11 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | ვორსკლა 1:0 | 79 | საგოლე პასი, გააძევეს | 16 | 4 | 4 |
| რევაზ ბარაბაძე | დნიპრო | შ | ვორსკლა 1:0 | 0 | | 3 | 0 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ხარკოვი 1:2 | 0 | | 13 | 2 | 10 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | შ | დინამო 1:1 | 89 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 18 | 8 | 9 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | შ | დინამო 1:1 | 82 | საგოლე პასი | 16 | 1 | 9 |
| გიორგი ჭელიძე | ზარია | შ | კარპატი 1:0 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | მ. ზაპოროჟიე 0:1 | 0 | | 16 | 0 | 8 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | შ | სტალი 0:0 | 16 | შეცვლაზე შევიდა | 13 | 0 | 12 |
| რუსეთი. პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | ს | ზენიტი 1:1 | 48 | გააძევეს | 1 | 0 | 7 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | ცსკა 1:3 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | ცსკა 1:3 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 15 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | ხიმკი 1:0 | 70 | შეცვალეს | 1 | 0 | 5 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ყუბანი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 10 |
| ალეკო ამისულაშვილი | ნალჩიკი | ს | ტომი 0:2 | 90 | | 1 | 0 | 16 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | ს | ტომი 0:2 | 7 | შეცვლაზე შევიდა | 1 | 0 | 16 |
| დანია. სასლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | ოლბორგი 2:0 | 90 | | 3 | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



# ლაციოს ზანგი დაუწყევლეს

**კვირას** „რეჯინა“ — „ლაციოს“ (2:3) მატჩისას მასპინძელ სალვატორე არონიკას სტუმარ სტეფან მაკინვასთვის რასისტული შეურაცხყოფა მიუყენებია. ნიგერიელი ფორვარდის თქმით, რეჯოკალაბრიელთა მცველმა მას „წყეული ზანგი“ უწოდა.

„ეს მოედნის ცენტრში ერთ-ერთი ორთაბრძოლის მერე მოხდა, „წყეულო ზანგო“ მომაძახა. მაშინ თავი შევიკავე, საპასუხო რეაქცია არ მქონია, მაგრამ ასე მოქცევა დაუშვებელია. პროფესიონალ ფეხბურთელს მეტი მოეთხოვება, ამგვარ რამეებს ვერ შევეგუები“ — თქვა მაკინვამ.

ბუნებრივია, ყველაფერი უარყო სალვატორე არონიკამ: „ვწუხვარ, რომ მაკინვამ ასეთი რამ თქვა. არანაირ რასისტულ ფრაზებს ადგილი არ ჰქონია.“

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კი ამ ფაქტზე გამოძიების დაწყებას აპირებს. თუ არონიკას ბრალეულობა დაუმტკიცდება, რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან.

# ვან გაალი გაოზდება?



**ავსტრალიის** ფეხბურთის ფედერაციამ ლუის ვან გაალს ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა — სააგენტო „ფრანს პრესის“ ცნობით, შესაძლოა, „ოზთა“ გუნდი მან ივნისში ჩაიბაროს.

ჰოლანდიური „ალკმაარის“ თავკაცი დაინტერესებულია სანაკრებო საქმით, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსი ექნება.

„2002-ში ჰოლანდია მუნდიალზე ვერ გავიყვანე. ეგებ ეს ავსტრალიასთან ერთად მოვახერხო, თუმც ჯერ უნდა მოვიფიქრო, ავწონ-დავწონო ვარიანტები. გამორიცხული არაა, უფრო ძლიერი ნაკრებიც ჩავიბარო. მსოფლიოს ჩემპიონობა მსურს, მაგრამ „ოზებით“ ამის მიღწევა შეუძლებელია, ეს ხომ არგენტინა ან ესპანეთი არაა. ერთი კია, ავსტრალიაში მუშაობას თავისებური ხიბლი ექნება“ — განაცხადა ვან გაალმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მე ვარ გიჟი, შე არაკაცო?!

**ამ** უქმეებზე „პალერმო“ — „ფიორენტინას“ მნიშვნელოვანი მატჩი, რომელიც 1:1 მორჩა, ძალიან ნერვიული და დაძაბული გამოდგა. ვითარება 33-ე წუთზე გამწვავდა, როცა სტუმარმა ადრიან მუტუმ წაქცეული რობერტო გუანა არ თუ ვერ დაინახა, შეტევა წამოიწყო და საბოლოოდ გოლიც გაიტანა. ამან სიცილიელთა მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის აღშფოთება გამოიწვია, რისთვისაც მსაჯმა დომენიკო მესინამ წითელი ბარათი უჩვენა.

სანამ გვიდოლინი სათადარიგოთა სკამს დატოვებდა, ფლორენციელთა თავკაც ჩეზარე პრანდელისაც წაელაპარაკა...

„პრანდელის ამიერიდან აღარასოდეს დაველაპარაკები, ყველაფერი მოედანზე მორჩა. მან გიჟი მიწოდა, მაგრამ მთავარი ეს არ არის. ყველაზე ცუდი ისაა, რაც მოხდა — საბედნიეროდ, ასეთი რამეები ფეხბურთში უიშვიათესია. ჩემს მოთამაშეებზე გაბრაზებული არ ვარ, ისინი სწორად მოიქცნენ, აი, მეტოქის ფეხბურთელებსა და მწვრთნელზე რა გითხრათ. მოგება ყველა ხერხით არ უნდა გინდოდეს და დაწერილი თუ დაუწერელი კანონები არ უნდა დაარღვიო“ — განაცხადა მოგვიანებით გვიდოლინიმ — ვითარების გამოსწორება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ფიორენტინელები ასე არ მოიქცნენ. მე რომ მსგავსი შემმთხვეოდა, ჩემს გუნდს გავაჩერებდი, წინააღმდეგ შემთხვევაში რა კაცი ვიქნებოდი... სპორტში დაუწერელი კანონებიც არსებობს, რომლებიც უნდა დავიცვათ. ამას ხშირად ფეხბურთელებსაც ვახსენებ ხოლმე“.

რა თქმა უნდა, სხვა აზრისაა პრანდელი: „ეს „პალერმოსთვის“ უსიამოვნო ინციდენტი იყო და ვწუხვარ, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ. მუტუს გუანა არ დაუნახავს და თამაში გააგრძელა. არც მსაჯს დაუსტვენია, რაც უფლებას გვაძლევდა, შეტევა გაგვეგრძელებინა. გვიდოლინი ანერვიულდა, მაგრამ თავი მაინც უნდა შეეკავებინა და ნაკლებად აგრესიული ყოფილიყო“.

ადრიან მუტუ: „წაქცეული მოთამაშე არ დამინახავს. ბურთი მოვიპოვე და უმალ წინ წავედი. ჩემს უკან რა ხდებოდა, არ ვიცოდი. არა მგონია, რომ წესი დავარღვიეთ და უსამართლო გოლი გავიტანეთ“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რაიკარდის მილანური სახლი



## კარლო ანჩელოტის ფეხბურთის კანონები კარგად სცოდნია

**იტალიურ** მედიაში ისევ გაჩნდა ცნობა, რომ ფრანკ რაიკარდი, შესაძლოა, „მილანის“ მწვრთნელი გახდეს. ჰოლანდიელი თურმე მილანში სახლის ყიდვას აპირებს და ეს ამბავი სწორედ „ბარსელონადან“ მის წასვლას უკავშირდება.

რაიკარდს „ბარსასთან“ კონტრაქტი 2008 წლის ივნისამდე აქვს, მაგრამ, პირობების თანახმად, ამ ზაფხულსაც შეუძლია წასვლა. მილანურ დერბიში „შავ-წითელთა“ მარცხმა კი კიდევ ერთხელ შეარყია კარლო ანჩელოტის პოზიცია.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მომავალი გუნდის შედეგებზეა დამოკიდებული. „მილანში“ სამუშაოდ კიდევ მრავალ წელს დავრჩებოდი, მაგრამ ვიცი, როგორ უცბად იცვლება ხოლმე ვითარება ფეხბურთში“ — თქვა ანჩელოტიმ ამას წინათ.

ცხადია, „მილანის“ მწვრთნელის ბედი ჩემპიონთა ლიგაში წინსვლასა და სერია A-ს ზედა ოთხეულში მოხვედრაზე ჰკიდია — „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მიუნხენის „ბაიერნს“ ხვდება, ჩემპიონატში კი მეექვსე ადგილზეა და მეოთხე საფეხურამდე ექვსი ქულა აშორებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## შავ-ლურჯი თვალთვალი

**მილანის** „ინტერმა“ „ჰერტას“ ნახევარმცველ კევინ-პრინს ბოატენგს დაადგა თვალი — „შავ-ლურჯთა“ სელექციონერები მუდმივად დადიან მისი თამაშის სანახავად.

ბოატენგი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრიცაა და „ჰერტასთან“ კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს.

## ალესანდრო დელ დიეგო

„**ვერდერის**“ ნახევარმცველ დიეგოს შეძენა „იუვენტუსსაც“ მოუნდა — წერს „ტუტოსპორტი“. დიდიე დეშანის აზრით, ბრაზილიელი მომავალში ალესანდრო დელ პიეროს შეცვლის.

ტურინელებმა აქამდე არაერთხელ გამოთქვეს სხვა ვერდერელების გადაბირების სურვილიც, მათ შორის, მიროსლავ კლოზეს, ტორსტენ ფრინგსისა და პერ მერტესაკერის.

„იუვეს“ გარდა დიეგოს ყიდვა „ინტერს“, „ლივერპულსა“ და „ბაიერნსაც“ უნდათ.

## პრანდელის ია ემა

„**ფიორენტინას**“ მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს, რომელიც ამ სეზონის ბოლოს ეწურება. „იების“ შეფებმაც თქვეს, რომ მწვრთნელის დატოვება უნდათ.

„მე ველაპარაკე პრეზიდენტს. ბევრი რამ გავარკვიეთ და მოვაგვარეთ, „ფიორენტინამ“ ცუდად დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ ახლა საქმე კარგად მიდის. ასე უნდა გავაგრძელოთ. მომდევნო ტურებში „რომას“ და „მილანს“ ვხვდებით და ამის შემდეგ უკეთ გამოჩნდება, შევძლებთ თუ არა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას“.

## უთხარით დუნგას მანსინი!

„**რომას**“ ნახევარმცველი ამანტინო მანსინი გაოგნებულია დუნგას გადაწყვეტილებით — ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა რომაელი არ გამოიძახა.

„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ — დაიჩივლა ფეხბურთელმა — სტატისტიკა ჩემს სასარგებლოდ მეტყველებს და ნაკრებში თამაშს ვიმსახურებ. ვიმედოვნებ, რომ ვინმე შეახსენებს დუნგას მანსინის არსებობას. გასაგებია, რომ რონალდინიოც ჩემსავით მარცხენა ფლანგზე თამაშობს, მაგრამ მე მარჯვნივაც შემიძლია. ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნულ გუნდში ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლას გავაგრძელებ“.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ვისი დედაა პუტა?

## მაურინიუს ჰარმონია: გინება ენით, ლოცვა ძუძუებით

**ჟოზე მაურინიუმ** ცნობილ მსაჯ მაიკ რაილის „ბოზის შვილო“ დაუძახა.

ეს ამბავი „ჩელსისა“ და „ტოტენჰემის“ ემოციური და ექვსგოლიანი (3:3) სათასო შეხვედრის დროს მოხდა, თუმცა შემდეგ, როდესაც სკანდალი ატყდა, „ლურჯების“ თავკაცმა განმარტა, ჩვენთვის, პორტუგალიელებისთვის ეს გამოთქმა, „ფილიო და პუტა“, შეძახილია და არა შეურაცხყოფაო.

ერთი სიტყვით, თუ მაურინიუს ვერსია მართალია, კაცს შეიძლება, საბჭოთა კავშირის დროინდელი „ქართულ-რუსული ურთიერთობები“ გაგახსენდეს, როდესაც რუსები ჩვეულებრივ საუბარში „შენი დედა“-ს უწყინარად ჩაურთავდნენ ხოლმე — იქ ეს მიღებულია და სულაც არ ნიშნავს ვინმეს შეურაცხყოფას — ქართველებს კი ეგონათ, ეს კაცი გვაგინებსო და ბრაზდებოდნენ. ამ გაუგებრობის გამო ბევრი ჩხუბი მომხდარა, თუმცა დავუბრუნდეთ მაურინიუს და „ფილიო და პუტას“.

„ის, რაც მას ვუთხარი, შეიძლება, ჩემს თავს, საკუთარ ფეხბურთელებს ან ბურთს ვუთხრა, როდესაც ის ძელს მოხვდება — თქვა „ჩელსის“ შეფმა — პორტუგალიურად ამ სიტყვების თქმა ჩემთვის სრულიად ჩვეულებრივი რამ გახლავთ. საერთოდაც, შესაძლოა, ემოციური კაცი ვიყო, მაგრამ ნამდვილად ზრდილობიანი გახლავართ და ხალხისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მჩვევია. რაც შეეხება ჩემს პრეტენზიას, ის წვრილმან ჯარიმებს ეხება. მე მსაჯისთვის მსხვილ შეცდომაში ბრალი არ დამიდია, წვრილ-წვრილ ჯარიმებს კი სულ ჩვენ საწინააღმდეგოდ უსტვენდა“.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია რაილის მოხსენებას გაეცნობა და მერე გადაწყვეტს, მიიღოს თუ არა დისციპლინარული ზომები.

**ბაჩუნა ძიდია**

# რიგითი არიენის გადასარჩენად

**ჰოლანდიელ** გარემარბს არიენ რობენს „ჩელსიში“ თამაში ყელში ჰქონია ამოსული და ზაფხულს კატალონიურ „ბარსელონაში“ გადასვლის იმედით ელოდება. როგორც ამბობენ, თავის მხრივ, კატალონიელებიც მზად არიან 16 მილიონ გირვანქად რობენის ლონდონიდან „გამოსახსნელად“.

საქმე ის გახლავთ, რომ ბარსელონელებს თავდაპირველად „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოთამაშე პორტუგალიელის კრიშტიანუ რონალდუს ყიდვა სურდათ, მაგრამ როდესაც ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდათ, მათმა ტრანსფერთგამგებელმა ჩიკი ბეგირისტაინმა მზერა რობენისკენ მიაპყრო.




რობენს ის პლუსებიც აქვს, რომ „ბარსას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდის თანამემამულეა და ზაფხულში „ჩელსიდან“ ნამდვილად მიდის.

**ბაჩუნა ძიდია**

# ჩელსის ღამურა ახსოვს

**ბრიტანული** „ნიუს ოფ ზე ვორლდის“ ცნობით, ესპანური „ვალენსიას“ მცველი მიგელი კვლავაც რჩება „ჩელსის“ სასურველ ფეხბურთელთა სიაში.

იანვარში ლონდონელებმა სცადეს პორტუგალიელი „ღამურას“ გადაბირება და კვირაში 80 ათას გირვანქასაც სთავაზობდნენ, მაგრამ ვალენსიელებმა ფეხბურთელი არ გაუშვეს.

ამჟამად მიგელის ფასი 11 მილიონი გირვანქაა. მისი შეძენით ასევე „რეალი“ და „იუვენტუსიც“ არიან დაინტერესებულნი.

„ჩელსი“ ამ ზაფხულს კიდევ ერთხელ შეეცდება პორტუგალიელის ტრანსფერის გაჩარხვას.

**გაჟა ხუციშვილი**

# ნაირნაირი ლურჯი ხელმოწერა

### არა – ტერის!

ჯონ ტერიმ „ჩელსი“ შეიძლება სეზონის დამთავრებისთანავე დატოვოს — ახალი კონტრაქტის თაობაზე კლუბსა და კაპიტანს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. არ არის გამორიცხული, ტერიმ ფიფას ახალი წესითაც ისარგებლოს და ლონდონელთაგან ხელშეკრულებით დარჩენილი ორი წელიწადი გამოისყიდოს. გამოსასყიდი თანხა, ბუნებრივია, ხელფასზეა დამოკიდებული.

შეგახსენებთ: ტერი „ჩელსიში“ კვირაში 90 ათას გირვანქას იღებს.

კაპიტანი კლუბის აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კინიონს რამდენიმე დღის წინაც ელაპარაკა. მაშინ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ „ლურჯები“ მისთვის კვირაში 130 ათასის გადახდას თანხმდებოდნენ, რაც ტერის თავმოყვარეობას დაუკმაყოფილებდა — გასამრჯელოთი ანდრეი შევჩენკოს და მიხაელ ბალაკს გაუტოლდებოდა. მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ფულის პატრონებს 26 წლის ფეხბურთელი, რომელიც 14 წლიდან ჩელსელია, უკრაინელის და გერმანელის დარად არ ულირთ.

საინტერესოა, რომ თავად ტერის კარიერის დამთავრება მშობლიურ კლუბში სურს და დარწმუნებული იყო, რომ ახალ 9-წლიან კონტრაქტს მოაწერდა ხელს, მაგრამ კინიონმა ხუთ წელიწადზე მეტს ვერ დაგპირდებით და ხელფასსაც თუ მოგიმატებთ ცოტათიო.

როგორც ინგლისელი ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, კაპიტანი კლუბზე გაბრაზდა და თანაგუნდელ ფრენკ ლამპარდთან ერთად „ბარსელონისკენ“ გაიხედა.

### ლამპარდს – ჰო!

მაგრამ ლამპარდი შეიძლება მოახედონ — კინიონმა, ამ კაცის გუნდში დატოვება ერთობ მნიშვნელოვან რამედ მიგვაჩნიაო.

მოკლედ, ამწუთას ისე ჩანს, რომ „ჩელსის“ თავის და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველთან, ამ ორი გუნდის კაპიტნისგან განსხვავებით, ახალი კონტრაქტის პირობები ჯერ არ გაურკვევია.

ცნობისთვის: ლამპარდის ხელფასი ტერის ხელფასის ტოლია და მასზეც ამბობდნენ, ლონდონიდან წასასვლელად ფიფას ახალი წესებით აუცილებლად ისარგებლებსო.

„არა, ლამპარდის დატოვება პრინციპული ამბავია. რატომ უნდა გვინდოდეს მისი კალიბრის ფეხბურთელის დაკარგვა? — უთხრა ჟურნალისტებს „ლურჯების“ შეფმა — მოდით, თუ გნებავთ, მთელ „ჩელსის“ დავყვეთ. სად იპოვით პეტრ ჩეხზე უკეთეს მეკარეს?! ან, განა ფრენკ ლამპარდზე უკეთესი ნახევარმცველის მოძიება ადვილია?! ჩვენ, კლუბის ხელმძღვანელები ფრენკ ლამპარდს კიდევ დიდი ხნით დავიტოვებთ. მასთან წინასწარი საუბრები უკვე გვქონდა და ახლა მზად ვართ, უკვე დაწვრილებით ველაპარაკოთ.

დარწმუნებული ვარ, ფრენკი სეზონის ბოლომდე გადაწყვეტილების მიღებას არ იჩქარებს, ხოლო რაც შეეხება ფიფას ახალ წესს, ის ჯერ ექსპერიმენტის სტადიაზეა და ვფიქრობ, ყველაფერს თეთრად და შავად მაინც არ ჰყოფს“.

### ჟოზე ნახევარფინალში

ტერისა და ლამპარდის გარდა ლონდონელ წამსვლელ-დამრჩენთა შორის არის კიდევ ერთი და თან უმსხვილესი ფიგურა, „ჩელსის“ პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ.

მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, რომ მაურინიუს კლუბის მეპატრონე რომან აბრამოვიჩთან რთული ურთიერთობები აქვს და არ არის გამორიცხული, საზონის დამთავრების შემდეგ გაუშვან.

თუმცა სეზონის დამთავრებამდე დიდი ამბებია მოსალოდნელი. კერძოდ, „ჩელსი“ თავის მაურინიუთი, ტერითა და ლამპარდით ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია, სადაც ესპანურ „ვალენსიას“ უნდა შეხვდეს და თუ მოუგებს, ნახევარფინალში „ლივერპულისა“ და ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ წყვილში გამარჯვებულს უნდა შეხვდეს. სხვა სიტყვებით, არის ვარიანტი, რომ ნახევარფინალში „ჩელსი“ „ლივერპულს“ დაუპირისპირდეს.

„ნახევარფინალში „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრას ახლავე დიდი სიამოვნებით მოვაწერ ხელს“ — თქვა მაურინიუმ.



### სხვისი ალექსი

და ბოლოს: დაირხა ხმები, თითქოს „პსვ ეინდჰოვენის“ ბრაზილიელი ალექსი, რომელმაც საბედისწერო გოლით მერვედფინალიდან „არსენალი“ გამოთიშა, „ჩელსის“ საკუთრებაა. მერედა, ეს რატომღაც ისე აღიქვეს, თითქოს ლონდონელებს ამ ფეხბურთელზე და აქედან გამომდინარე, ირიბად მთელ პსვ-ზე, ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ამასთან დაკავშირებით ზემოხსენებულმა კინიონმა განაცხადა:

„ალექსი ჰოლანდიელების ფეხბურთელია, მათთან არის დარეგისტრირებული და ამ საკითხზე საუბარი შეცდომაა. ჩვენ მასზე არანაირი გავლენა არ გვაქვს“.

**ბაჩუნა ძიდია**

# სერ ალექს ფერგიუსონის სა20წლიანი კარიერა




AFP

დიდებული რა არის, იცით? ის, რომ 1986 წლის 6 ნოემბრის მერე ოც წელიწადზე მეტია გასული და ამ არცთუ მცირე დრომ ალექს ფერგიუსონს ვერაფერი დააკლო — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია და ისევე, როგორც 1999 წელს, სამი ტიტულისთვის იბრძვის — ჩემპიონთა ლიგის მოგების გარდა ინგლისის ჩემპიონობა და ფეხბურთის ასოციაციის თასი სურს.
მოდით, ახლა ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, შეძლებს თუ ვერა ფერგიუსონი ახალი „ტრებლის“ შესრულებას, დღეს თავად ფერგიუსონზე ვისაუბროთ და გასულ 20 წელიწადში გადადგმული 20 გამორჩეული ნაბიჯი დავუთვალოთ...

**1** 1986 **წლის** 6 ნოემბერს, როდესაც ალექს ფერგიუსონი ახალ სამსახურში მივიდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ სულაც არ ნიშნავდა ინგლისისა და ევროპის ერთ-ერთ უდიადეს გუნდს. სწორად გაგვიგეთ, გუნდი უტიტულო ნამდვილად არ იყო, მაგრამ მატ ბასბის მიღწევათა დროიდან გვარიანი ხანი გახლდათ გასული და სამოციანი წლების წარმატებები უკვე გახუნებულიც კი ჩანდა.

დავაზუსტოთ: იმ დროისთვის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ინგლისის ჩემპიონის ტიტული 1967 წლის შემდეგ არ მოეგო და ერთი წლით უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნის სიმწარეც ეგემა.

1986 წელს „ოლდ ტრაფორდზე“ 40 ათასი კაცის მისვლა დიდ საქმედ ითვლებოდა, ძვირადღირებული ფეხბურთელები კი კაპიკის საღირალს არ აკეთებდნენ.

„ოჯახის წევრები მანჩესტერში ჩემ გადასვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ხელფასიც იმაზე ნაკლები დამინიშნეს, ვიდრე „აბერდინში“ მქონდა (წელიწადში 120 ათასი გირვანქა), მაგრამ ჩემთვის „იუნაიტედი“ სამსახური არასდროს ყოფილა, ეს იყო მისია“ — დაწერა წლების შემდეგ ალექს ფერგიუსონმა ავტობიოგრაფიულ წიგნში.

**2** **ფერგიუსონმა** ახალ სამსახურთან და ხალხთან ფრთხილ შეგუებაზე იმთავითვე უარი განაცხადა. პირველივე შეხვედრაში „ოქსფორდთან“ 0:2 წაგების შემდეგ მწვრთნელმა გასახდელში დიდი ღრიალი მორთო, რასაც მოთამაშეებისთვის ალკოჰოლის სრული აკრძალვა და სასტიკი დიეტის დანიშვნა მოჰყვა. გამკაცრდა დისციპლინა.

**3** 1989 **წელს** გუნდმა ცხრილში მე-11 ადგილი დაიკავა, რასაც ფერგიუსონმა დიდი წმენდა მოაყოლა. ფანების წინააღმდეგობის მიუხედავად მწვრთნელმა დაითხოვა თვით გორდონ სტრაჩანი, ნორმან უაითსაიდი და პოლ მაკგრატი. მაშინდელი „თაიმზი“ წერდა, რომ ამ ნიჭიერი ფეხბურთელების გაგდების მიზეზი სმა იყო. გაგდებულთა სანაცვლოდ ფერგიუსონმა იყიდა პოლ ინსი და გარი პალისტერი. ინსში „იუნაიტედმა“ იმ ზაფხულისთვის სარეკორდო 2,3 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

**4** **„იუნაიტედის“** მწვრთნელის თანამდებობაზე ფერგიუსონისთვის პირველი სამი სეზონი წარუმატებელი იყო, სეზონი სამივეჯერ ცხრილის ქვედა ნახევარში დაამთავრა. „ოლდ ტრაფორდის“ ტრიბუნებზე ფანებმა გამოკიდეს პლაკატები „მშვიდობით, ფერგი“ და „ტანჯვის სამი წელიწადი საკმარისია“. მანჩესტერული კლუბის დირექტორატმა მისი მოხსნა გადაწყვიტა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან... შემცვლელი არ გამოჩნდა. მოკლედ, ჯერი სათასო მეოთხედფინალში ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდ „ნოტინგემ ფორესტთან“ შეხვედრაზე მიდგა და ფერგიუსონსაც სწორედ აქ გაუმართლა — 1:0.

იმ წელიწადს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ თასი მოიპოვა.

**5** 1991 **წლის** შემოდგომაზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ მეათე ადგილზე ზემოთ ვერაფრით ავიდა, რადგან თავდამსხმელმა დიონ დაბლინმა ტრავმა მიიღო, სრულყოფილი შემცვლელი კი გუნდში არ იყო. მერედა, ახალი თავდამსხმელის საყიდელი ფული ფერგიუსონს ცოტა ჰქონდა, კლუბმა ჯიბეზე ვერ ან არ გაიკრა ხელი, მაგრამ კეთილ ხალხს რა გამოლევს — საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ჟერარ ულიემ მანჩესტერელთა თავკაცს „ლიდს იუნაიტედში“ მოთამაშე ერიკ კანტონას სხვა თვალით დანახვა ურჩია. ფერგიუსონმა ულიეს დაუჯერა და მილიონი გირვანქა გაიღო. ამბობენ, 20 წლის განმავლობაში ტრანსფერებზე დახარჯული 300 მილიონიდან ეს მილიონი ყველაზე ჭკვიანური იყოო.

„ერიკმა ჩვენი გუნდი შეცვალა“ — განაცხადა ფერგიუსონმა მაისში, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიდი ხნის მონატრებულ ჩემპიონის ტიტულს ზეიმობდა.

**6** 1993 **წელს** ფერგიუსონმა „ნოტინგემ ფორესტისთვის“ იმხანად სარეკორდო 3,7 მილიონი გირვანქა არ დაიშურა. ამ ფასად ნოტინგემელებმა მას 22 წლის როი კინი დაუთმეს. შედეგად, 1994 წლის გაზაფხულზე „იუნაიტედმა“ კვლავ ჩემპიონის ტიტული მოიგო და ზედ თასიც მიაყოლა.

**7** 1995 **წელს** შუა თამაშის დროს ერიკ კანტონას ტრიბუნიდან გინება მოესმა, დაინახა, ვინც შეაგინა, აუვარდა და წიხლი სდრუზა. ფრანგი დასაჯეს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ დირექტორატი შემარცხვენელი თავდამსხმელის წინააღმდეგ ყალყზე შედგა. ინგლისური პრესა დღენიადაგ კანტონას ლანძღვით იყო დაკავებული. ასეთ შემოტევებს ფრანგმა ვერ გაუძლო და პარიზში გაიქცა, მაგრამ ფერგიუსონმა საშინელი სიჯიუტე გამოიჩინა. მწვრთნელმა დაიჩემა, რომ კანტონას არსად გაუშვებდა და ვარსკვლავს საფრანგეთის დედაქალაქში ჩააკითხა, სადაც ერთ-ერთ რესტორანში დაუთქვა შეხვედრა. შეხვედრაზე ალექს ფერგიუსონი... „ჰარლი დევიდსონით“ (მოტოციკლეტია) მივიდა.

**8** **ალექს** ფერგიუსონი, ყველასთვის გასაოცრად, გუნდიდან უშვებს მარკ ჰიუზს, ანდრეი კანჩელსკისს და პოლ ინსს, მათ ნაცვლად კი არავის ყიდულობს. გარშემო სრული გაუგებრობა და აღშფოთებაა. ხალხისთვის ძნელია იმის გაგება, რომ მწვრთნელს წამოჩიტული ახალგაზრდების იმედება. ახალგაზრდები არიან: რაიან გიგზი, დევიდ ბექჰემი, პოლ სქოულზი, ძმები ნევილები და ნიკი ბატი.

**9** 1998 **წლის** ზაფხულზე ფერგიუსონს სატრანსფეროდ ფული უვარდება, მაგრამ კლუბის დირექტორატისთვის გაუგებარ ნაბიჯებს დგამს — 17 მილიონ გირვანქას იხდის ჰოლანდიელ მცველ იაპ სტამში, ხოლო 12,5-ს თავდამსხმელ დუაიტ იორკში. იორკის ყიდვას მას დირექტორატი არაფრით ანებებდა, მაგრამ ფერგიუსონი გუნდიდან წასვლით დაიმუქრა და თავისი გაიტანა.

**10** 1999 **წლის** 26 მაისი. ბარსელონა, „კამპ ნოუ“. ჩემპიონთა ლიგის ფინალი „ბაიერნი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“...

ისე, არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ოლე გუნარ სოლსკიაერიცა და ტედი შერინგემიც ფერგიუსონმა შეცვლაზე შეიყვანა.

**11** **როგორც** ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, „მანჩესტერი“ ბრაზილიაში კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაეშურა და ყველაფერი ღიღინ-ღიღინით წააგო. ამ „გასეირნების“ გამო ფერგიუსონმა გუნდს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი გააცდენინა, არადა, იმ თასის მფლობელი გახლდათ. დიდი სკანდალი იყო.

**12** **ფერგიუსონს** „პსვ ეინდჰოვენისგან“ რუუდ ვან ნისტელროის ყიდვა უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. „იუნაიტედის“ მწვრთნელმა ტრანსფერი მაინც არ ჩაშალა, მოხერხებულ მომენტს დაელოდა და ჰოლანდიელი ფეხბურთელი იყიდა.

ცნობისთვის: „იუნაიტედის“ შემადგენლობაში რუუდ ვან ნისტელროიმ 219 მატჩში 150 გოლი შეაგდო.

**13** 2002 **წლის** ზაფხულზე ალექს ფერგიუსონმა დაიჩემა, რომ თანამდებობას ტოვებს. ამბობენ, რომ ამ მეთოდით მან ახალ, გაცილებით სარფიან კონტრაქტს მიაღწია. ასეა თუ ისე, ალექს ფერგიუსონმა და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ახალი ხელშეკრულება გააფორმეს.

**14** **ალექს** ფერგიუსონმა 42,6 ევროდ არგენტინელი ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი იყიდა. ეს იყო მისი კარიერის ერთ-ერთი უარესი ტრანსფერთაგანი.

**15** **„მანჩესტერ** იუნაიტედის“ უმსხვილესმა აქციონერებმა, ირლანდიელებმა, ჯონ მანიემ და ჯი პი მაკმანუსმა ფერგიუსონს საუცხოო ულაყის „გიბრალტარის კლდის“ მეპატრონის უფლებათა ნახევარი მიჰყიდეს. გახარებული მწვრთნელი იძახდა, რომ ულაყი ბექჰემსა და ვერონზე იაფია, მაგრამ მათზე სწრაფად და ლონივრად დარბისო.

სამწუხაროდ, ცხენმა დოღებზე ვერ ივარგა და მანიესა და მაკმანუსს ფერგიუსონთან ურთიერთობა აერიათ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აქციონერთა წყვილი 100-მილიონიან ულაყზე ფერგიუსონის უფლებებს უარობდა.

2004 წელს ფერგიუსონმა აქციონერებს სასამართლოს ძალით 2,5 მილიონი გირვანქა გადაახდევინა, შემდეგ კი მანიე და მაკმანუსიც გაქრნენ — ამერიკელ მალკოლმ გლეიზერს მიჰყიდეს „მანჩესტერ იუნაიტედი“.

**16** **ალექს** ფერგიუსონს დევიდ ბექჰემთან გაუფუჭდა ურთიერთობა. ერთ-ერთი მატჩის შესვენების დროს მწვრთნელმა სიფიცხის დროს ბუციც კი ისროლა და შემთხვევით ბექჰემს გაარტყა თავში.

ამბობენ, რომ მწვრთნელისა და ფეხბურთელის კონფლიქტი იმით იყო გამოწვეული, რომ ფერგიუსონი ბექჰემში მხოლოდ ფეხბურთელს ხედავდა, ის კი პოპ-ვარსკვლავი მეუღლის გავლენით გაცილებით გახმაურებულ ფიგურად ყალიბდებოდა.

2003 წელს ალექს ფერგიუსონმა დევიდ ბექჰემი 25 მილიონ გირვანქად მადრიდის „რეალს“ მიჰყიდა.

**17** **გაირკვა,** რომ ალექს ფერგიუსონის უმცროსი შვილი ჯეისონი, რომელიც სპორტული სააგენტოს თანამფლობელი გახლდათ, სატრანსფერო ოპერაციების გაფორმებისას „იუნაიტედის“ ფეხბურთელთა აგენტებს უფრო მეტ საკომისიოებს უტოვებდა, ვიდრე სხვებს. განსხვავება 3,5 პროცენტს შეადგენდა, რამაც 2000-2003 წლებში 13,4 მილიონი გირვანქა შეადგინა. სხვა სიტყვებით, ალექს ფერგიუსონი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფეხბურთელები მისი შვილის სააგენტოს გავლით ეყიდა.

**18** **ფერგიუსონმა** 2004 წელს „ევერტონისგან“ უეინ რუნი იყიდა. ამ ტრანსფერში მწვრთნელმა 27 მილიონი გირვანქა გადაიხადა, არადა, ეს ფული მას ორი სეზონით ჰქონდა გამოყოფილი.

**19** **ალექს** ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ თვით როი კინი გაუშვა. მიზეზი: კინმა კლუბის ტელეარხს ინტერვიუ მისცა, რომელიც... ეთერში არ გასულა, მაგრამ ფერგიუსონისთვის ერთგული კაპიტნის მოსამულებლად სრულიად საკმარისი გამოდგა.

**20** **ალექს** ფერგიუსონმა გუნდიდან რუუდ ვან ნისტელროოი გააგდო.

**ბაჩუნა ძიდია**




# სლომკა კონტრაქტით შეაჯანჯღარეს

## კობიაშვილს და შალკეს ისევ ის გაწვრთნის

**მხოლოდ** ორი ქულა ბოლო ოთხ თამაშში — გელზენკირხენის „შალკე" მწვერვალზე თავის შემაგრებას ვერ ახერხებს და ქულებს ქულებზე ფანტავს არ ჩამოვარდეს.

თუმცა „ხუმარათა" მწვრთნელი მირკო სლომკა ოპტიმისტია: „ჩვენ ჯერ კიდევ პირველ ადგილზე ვართ და ამით კმაყოფილი ვარ".

მწვრთნელისა არ იყოს, კმაყოფილია კლუბის ხელმძღვანელობაც, რაც იქედანაც ჩანს, რომ ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიის მიუხედავად, სლომკას კონტრაქტის გაგრძელებას სწორედ ახლა სთავაზობს.

გერმანული „ბილდის" ცნობით, ლევან კობიაშვილს და მის თანაგუნდელებს სლომკა 2009 წლამდე გაწვრთნის.

„მომავალ კვირას დავსხდებით და ყველაფერზე მოვილაპარაკებთ — განაცხადა „შალკეს" მენეჯერმა ანდრეას მიულერმა — ჩვენ გვინდა, მირკოს კონტრაქტი გავუგრძელოთ და ასეც იქნება. მას ამის გაკეთება წაგების შემდეგ არ სურდა, მაგრამ ჩვენ ხომ არ წაგვიგია".

შეგახსენებთ, რომ ბოლო ტურში „შალკე" „ჰანოვერს" 1:1 დაუზავდა.

ასე რომ, „შალკე" ახალი სტრატეგიით უტევს ბუნდესსასალათეს: გელზენკირხენელებს ახლა „შტუტგარტთან" და „ლევერკუზენთან" ურთულესი მატჩები ელით და ამ დროს მწვრთნელის მიმართ გამოცხადებული ნდობა უმნიშვნელო ფაქტორი არ უნდა იყოს.

ამასობაში „შალკე" დაცვის გაძლიერებას დეპორტივოელი ხუან კაპდევილათი აპირებს.

„შპორტალის" ცნობით, „ხუმარებს" კაპდევილა მარცხენა მცველ კრისტიან პანდერის შემცვლელად უნდათ.

29 წლის ესპანელს გალისიურ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და მისით „სევილია", „სარაგოსა", „ვილიარეალი" და „ესპანიოლი" არიან დაინტერესებულნი.

**ნინო სილაგაძე**

# რიობერი არასერიოზულობას გაშორდა



**„დორტმუნდის"** მწვრთნელი იურგენ რიობერი გუშინ თავისი ნებით გადადგა ორთვენახევრიანი მუშაობის შემდეგ.

შაბათს მისი გუნდი „ბოხუმთან" სტუმრად 0:2 დამარცხდა და „შავ-ყვითლები" ქვედა სამეულს მიუახლოვდნენ.

„ამ რთულ ვითარებაში მთავარი თითოეული ჩვენგანი კი არა, კლუბის მომავალია და ამიტომაც მივდივარ. „ბოხუმთან" წაგების მერე მივხვდი, რომ გუნდში არც ერთ ფეხბურთელს არ ესმის მდგომარეობის სერიოზულობა" — განაცხადა რიობერმა, რომელმაც დეკემბერში ბერტ ვან მარვიიკისგან ჩაიბარა „დორტმუნდი".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ისევ იტალია, ისევ კოკაინი

**იტალიური** „მესინას" მეკარე ნიკოლას კალონი კოკაინის მოხმარებაში ამხილეს.

ეს ინფორმაცია გუშინ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გაავრცელა.

კალონის სისხლის ანალიზი ერთი თვის წინ, „კატანიასთან" სერია A-ს მატჩში აუღეს და ანალიზის შედეგი სახალხოდ ახლალა გააცხადეს.

სააგენტო „როიტერის" ცნობით, „მესინას" კარის დარაჯს რამდენიმეთვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთ თვეში ეს უკვე მეორე შემთხვევაა იტალიაში — ამას წინათ „სამპდორიას" ვეტერანი შემტევი ფრანჩესკო ფლაკიც სწორედ კოკაინის მოხმარებაში ამხილეს მასაც ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით ემუქრებიან.

**კახა ზალამბერიძე**

# წააგებ და წახვალ!

## სტიუარტ პირსი ჩელსის ხახაში

**„მანჩესტერ სიტის"** მწვრთნელ სტიუარტ პირსის გათავისუფლებას ერთი მატჩის წაგებაღა უკლია. მომდევნო ტურში მისი გუნდი „ჩელსის" ხვდება და მარცხის შემთხვევაში, რაც დიდად მოსალოდნელია, პირსს გაუშვებენ.

„სიტიმ" პრემიერლიგაში ზედიზედ ოთხი თამაში წააგო, გუშინწინ კი ასოციაციის თასიდან გავარდა. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ მწვრთნელმა ამას წინათ უფულობაზე დაიწუწუნა, ფეხბურთელების შესაძენად თანხას არ მაძლევენო. გარდა ამისა, თითქმის თვითნებურად, პატრონის დაუკითხავად დათანხმდა ინგლისის 21-წლამდელთან ნაკრების თავკაცობაზე.

„სიტის" პრეზიდენტმა ჯონ უორდლმა შარშან ზაფხულს ტრანსფერებზე 13 მილიონი გირვანქა დახარჯა. იანვარში კიდევ ოთხი მილიონი მისცა მწვრთნელს „ტოტენჰემიდან" მიდოს საყიდლად, მაგრამ გარიგება არ შედგა.

გუნდი ცხრილში ნელ-ნელა ქვევით მიიწევს და მალე გაერდნის პირას აღმოჩნდება.

პირსის სავარაუდო შემცვლელად სემ ალარდაისს („ბოლტონი") და პოლ ჯუელს („უიგანი") ასახელებენ.

და ბოლოს: სიტელებს პსჟ-ს ფორვარდ პედრუ პაულეტას შეძენა უნდათ. THE PEOPLE-ის ცნობით, პსჟ-„ბენფიკას" მატჩს მანჩესტერული კლუბის სკაუტები დაესწრნენ პაულეტას სანახავად.



**ვაჟა ხუციშვილი**

# ლიტა და კლაასი ელიტაში

**„რედინგის"** და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდ ლეროი ლიტას შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა. „კოვენტრიში" დაბადებული ფეხბურთელი „რედინგმა" ორი წლის წინ „ბრისტოლ სიტისგან" ერთ მილიონ გირვანქად იყიდა.

გარდა ამისა, „წითლები" დაინტერესებულნი არიან „აიაქსის" კლაას-იან ჰუნტელაარით, რომელიც ამსტერდამულმა კლუბმა ამას წინათ მოსკოვის „ლოკომოტივს" არ დაუთმო 14 მილიონი ევროს სანაცვლოდ.

# სქელჯიბიანები

**კრიშტიანუ რონალდუ** ამ კვირაში კლუბთან ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მისი ყოველკვირეული ჯამაგირი 120 ათას გირვანქამდე გაიზრდება და ცოტა ხნით გუნდში ყველაზე სქელჯიბიანი ფეხბურთელი გახდება. ცოტა ხნით იმიტომ, რომ მალე ასეთივე კონტრაქტზე მოაწერენ ხელს უეინ რუნი და რიო ფერდინანდიც.

22 წლის პორტუგალიელს მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა" ექაჩებიან, მაგრამ ორივე გუნდში მწვრთნელების ცვლილებაა მოსალოდნელი და რონალდუს „მანჩესტერში" დარჩენა ურჩევნია.

# კვარესმა აფრიკის შემცვლელად

**„პორტუს"** ნახევარმცველ რიკარდუ კვარესმასთვის ბრძოლაში „ჩელსიც" ჩაერთო. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში „სტემფორდ ბრიჯზე" 23 წლის პორტუგალიელმა კარგად ითამაშა და ჟოზე მაურინიუს მისი ყიდვის სურვილი გაუჩნდა.

მომავალი წლის დასაწყისში აფრიკის ერთვნებათა თასზე სათამაშოდ დიდიე დროგბა და სალომონ კალუ წავლენ და დროებითი დანაკლისის ასანაზღაურებლად „ჩელსის" სათადარიგოთა სკამის შევსება მოუწევს. ლონდონელები ამ ზაფხულს შონ რაიტ-ფილიპსის გაყიდვას და კვარესმას შეძენას აპირებენ, რომელიც 15 მილიონი გირვანქა ღირს.

# კარლიტოს გზა მარსელისკენ

**„ვესტ ჰემის"** არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი, შესაძლოა, „მარსელში" აღმოჩნდეს. ფრანგულ კლუბს ახალი პატრონი ჰყავს, ჟაკ კაჩკარი, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს „მედია სპორტს ინვესტმენტსთან". სწორედ ეს კომპანია „პატრონობს" ტევესს, რომელიც შარშან „კორინთიანსიდან" „ვესტ ჰემს" მიჰყიდა.

„კარლიტომ" „მარსელის" შეტევა უნდა გააძლიეროს, სადაც ამჟამად ჯიბრილი სისე ვერ ბრწყინავს. სისე თავის მხრივ „ლივერპულიდანაა" განათხოვრებული.

# ალმუნია გაიქცევა

**თუკი** ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არ მისცემენ, „არსენალის" ესპანელი მეკარე მანუელ ალმუნია „ვილიარეალში" გადავა. თავის მხრივ, „მეთოფეთა" გერმანელი გოლკიპერი იენს ლემანი სეზონის ბოლოს წასვლას აპირებს და ალმუნიასაც ეიმედება, რომ პირველი ნომერი გახდება, თუმც „არსენალი" ლემანის შემცვლელს ეძებს. კანდიდატები არიან: იგორ აკინფეევი (ცსკა), არტურ ბორუცი („სელტიკი"), კრეიგ გორდონი („ჰართსი") და მარკო ამელია („ლივორნო").

# ჩარლტონი ჩავა, ბენტი ამოვა

**„ჩარლტონის"** ფორვარდ დარენ ბენტის შეძენასთან ყველაზე ახლოს „ტოტენჰემია". ბენტის მსურველთა რიგი გრძელია, მაგრამ თვითონ ფეხბურთელს „მამლებში" გადასვლა უნდა. 23 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ „ტოტენჰემი" 10 მილიონ გირვანქას იხდის და თუკი „ჩარლტონი" პრემიერლიგიდან გავარდება, დარენ ბენტი ქვედა ლიგაში ჩაყოლას, ცხადია, არ ინებებს.

# ალექსის მყესი

**პსვ-ს** მცველი ალექსი, შესაძლოა, სეზონის ბოლომდე გამოაკლდეს გუნდს, რადგან „ექსელსიორთან" მატჩში ფეხი იტკინა. გუშინ იგი ექიმებმა შეამოწმეს და ვარაუდობენ, რომ მყესი აქვს გაწყვეტილი.

თუკი ეს მართლა ასეა, ბრაზილიელი მცველი პსვ-ს ველარ დაეხმარება, რაც დიდი დანაკლისი იქნება „ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩებში.

# კლუგე სამწლიანში

**„გლადბახის"** ნახევარმცველი პეერ კლუგე ამ ზაფხულს „ნიურნბერგში" გადავა. მისი კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება და „ნიურნბერგს" უფასოდ ერგება, რომელთანაც სამწლიანი წინასწარი ხელშეკრულება უკვე გააფორმა.

„კლუგე ძალიან გამცდილია და კიდევ უფრო გააძლიერებს გუნდს" — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა მარტინ ბადერმა.

# რომარიო: დარჩა ხუთი

**უბერებელმა** რომარიომ წლეულს უკვე მეორე ჰეთ თრიქი მიითვალა და გოლების რაოდენობა 995-მდე გაზარდა. მისმა „ვასკუ და გამამ" კი „მადურეირას" 4:1 მოუგო. კარიოკას ჩემპიონატის მატჩის მეორე ტაიმში 41 წლის რომარიომ სამი გოლი 13 წუთში შეაგდო, აქედან ორი თამაშიდან, ერთიც პენალტით. რომარიოს სანატრელ 1000-მდე ხუთიღა უკლია და ასე თუ გაგრძელდა, ათასსაც გასცდება.

**ვაჟა ხუციშვილი**




# სიდაბლის გამო დაწუნებულ ლეო მესის ბურთი დაუმალეს

## უდიპლომო აგენტი: აივანზე დაწექი და მოგიტაცებთ

— ლეო, მადრიდის „რეალს“ სამი გოლი გაუტანეთ. მატჩის შემდეგ მშვიდად გეძინათ?

**მესი**: ძალიან კარგად, მშვიდად მეძინა და არაფერს შევუწუხებივარ.

— ის ბურთი, რომლითაც ჰეთ თრიქი შეასრულეთ, თან წაიღეთ?

**მესი**: არა, ბურთი ვერაფრით ჩავიგდე ხელში. როცა მატჩი დამთავრდა, ბელეტიმ ბურთს ფეხი მძლავრად ამოჰკრა, ტრიბუნებზე გადააგდო და დავრჩი ასე ხელცარიელი...

— გონსალო, რა იგრძენით, როცა, „ბარსამ“ ანგარიში 90-ე წუთზე გაათანაბრა?

**იგუაინი**: ცოცხლად გადაგვირჩნენ და უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დავკარგეთ. შეხვედრის დასაწყისში ყველანი მობილიზებულნი ვიყავით და გაგონსაც ვუთხარი, ეს „რეალის“ მატჩი იქნება-მეთქი. თუმცა კატალონიელებმა ბოლო წუთზე მაინც მოახერხეს გათანაბრება.

— ლეო მესის თუ წარმოედგინა, რომ ოდესმე მადრიდის „რეალს“ სამ გოლს გაუტანდა?

**მესი**: მართალი გითხრათ, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. ასეთ თამაშებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა „რეალთან“ ერთ მატჩში სამი გოლის გატანაზე არც მიოცნებია. ამას არ ველოდი.

— თქვენი მესამე გოლით „ბარსელონა“ კვლავ პრიმერადივიზიონის ლიდერი გახდა — „სევილიამ“ ხომ ტარაგონაში „ხიმნასტიკთან“ წააგო...

**მესი**: ლიდერები ვართ და ეს ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ამბავია.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ „ელ კლასიკო“ შესანიშნავი გამოდგა...

**მესი**: ღია, სანახაობრივი და ლამაზი თამაში იყო. მას შემდეგ, რაც ოლეგერი გააძევეს, ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა...

**იგუაინი**: კარგა ხანია, „ელ კლასიკოში“ ექვსი გოლი არ გასულა. თუმცა სამწუხაროა, რომ ორი ქულა მატჩის მიწურულს დავკარგეთ, რადგანაც პრაქტიკულად თამაში მოგებული გვქონდა.

— ვისი უფრო გეშინიათ: „სევილიასი“ თუ „ვალენსიასი“?

**იგუაინი**: ვფიქრობ, ყველა მეტოქე საშიშია. ჩემპიონობისთვის ხომ ეს გუნდები უნდა დავამარცხოთ.

**მესი**: ახლა ჩემპიონობისთვის ოთხი გუნდი ვიბრძვით. „ბარსა“ დასახულ მიზანს ბოლომდე უნდა მიჰყვეს და არც ერთი ქულის დაკარგვა აღარ შეიძლება. კოპა დელ რეიც ხომ გვრჩება... მოკლედ, ამ ორი ტიტულისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

— ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „სევილია“ არანორმალურ წნეხს ვერ უძლებს და სუსტ გუნდებთან მარცხდება. ამით კი „ბარსა“ და „რეალი“ სარგებლობენ...

**მესი**: „ბარსასთვის“, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, სევილიელები ასე თუ გააგრძელებენ.

**იგუაინი**: „სევილიასთან“ და „ვალენსიასთან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა ვითამაშოთ. შეიძლება ითქვას, „რეალს“ თორმეტი ფინალი დარჩა სათამაშო და ყველა უნდა მოვიგოთ.

— ვინ უფრო სწრაფია, მესი თუ სევილიელი ალვეში?

**მესი**: ვერ გეტყვით...

— გონსალო, მესი მართლაც ისეთი ფენომენია, როგორც ამას ხალხი ამბობს?

**იგუაინი**: მესი დიდი ფეხბურთელი, ნამდვილი ფენომენია და აუცილებლად უნდა ვიყიდოთ. „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა მითხრა, აი, ნახავ „ბერნაბეუზე“ ლეოს თუ არ ჩამოვიყვანო.

— „კამპ ნოუზე“ რას გვეტყვით?

**იგუაინი**: შთამბეჭდავი სტადიონია. მთელი მატჩის განმავლობაში რაღაც წარმოუდგენელი ატმოსფერო იგრძნობოდა.

— და რა იგრძნო მესიმ, როცა „რეალს“ 90-ე წუთზე ანგარიში გაუთანაბრა?

**მესი**: საოცარი სიხარული, რადგან ბოლო წუთებზე გატანა მოვახერხე. ათასმა რამემ გამიელვა თავში, როცა ის გოლი შევაგდე, რომელმაც გულშემატკივრებს ამხელა სიხარული მოუტანა.

— მაშინ რონალდინიომ რა გითხრათ?

**მესი**: კარგად არ მახსოვს... მაშინ არაფერზე არ ვფიქრობდი, ერთმანეთს გოლს ვულოცავდით...

— გონსალო, „რეალი“ საჩემპიონო შანსებს კიდევ ინარჩუნებს?

**იგუაინი**: ამ დაკარგული ორი ქულის მიუხედავად, ლიდერს ოდენ ხუთი ქულით ჩამოვრჩებით და პრიმერადივიზიონში გამარჯვების შანსი გვაქვს.

— გაგიხარდებოდათ, ერთ გუნდში რომ გეთამაშათ?

**იგუაინი**: მესისთან ერთად სიამოვნებით ვითამაშებდი...

**მესი**: მეც დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი იგუაინთან ერთად.

— „კამპ ნოუს“ მატჩამდე ერთმანეთს მოედანზე არ შეხვედრიხართ...

**მესი**: დიახ, შაბათს პირველად ვითამაშეთ ერთმანეთის წინააღმდეგ.

— მართალია, რომ ლეო მესი „რივერ პლეიტში“ გასინჯვაზე იყო და ტანმორჩილობის გამო დაიწუნეს?

**მესი**: ბუენოს აირესში ვიყავი, მაგრამ იქ გარკვეული მოთხოვნები წამომიყენეს და მეც ბარსელონაში წამოვედი — აბა, ვინ იცოდა, ორ მეტრს როდის მივაღწევდი... შაბათს „ელ კლასიკოს“ დამთავრების შემდეგ კარლოს რექსაჩი ვნახე და მივესალმე — ამ კაცის დიდი მადლობელი ვარ, „ბარსელონაში“ ხომ რექსაჩმა მომიყვანა.

— ადრე თქვით, რომ თქვენი ყველაზე ბედნიერი დღე ის იყო, როცა დიეგო მარადონა გაიცანით...

**მესი**: უეჭველად. თავი ბედნიერად ვიგრძენი და ყველა არგენტინელი ამას განიცდიდა ჩემს ადგილზე. დიეგო ყველა ჩვენგანისთვის ბუმბერაზია. მაშინ პირველად შევხვდი პირადად — ტელევიზიაში ეთერში გასვლის წინ დარბაზში ვიცდიდი და უცებ ჩემთან მარადონა მოვიდა! ხმა ვერ ამოვიღე, ის მელაპარაკებოდა, მე კი ჩუმად ვიყავი...

— გონსალო, როცა „რეალში“ მოხვედით, კლუბთან შექმნილმა სიტუაციამ არ გაგაკვირვათ?

**იგუაინი**: ვიცოდი, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ჩავირიცხე და გულშემატკივრებისა თუ კლუბის უფროსობისთვის ჩემდამი გამოჩენილ ნდობაზე მადლობა კარგი თამაშით უნდა მეთქვა. სხვაზე არაფერზე მიფიქრია. თუ დაძაბულობაზე და ინჩასთა მხრიდან ზეწოლაზე მეკითხებით, გიპასუხებთ, რომ „რივერ პლეიტში“ უარესი წნეხი იყო — ყველა თამაშის მოგებას გვთხოვდა.

— გჯეროდათ, რომ „კამპ ნოუზე“ დადებითი შედეგის მიღწევას შეძლებდით?

**იგუაინი**: დარწმუნებულნი ვიყავით, რომ მაგრად ვითამაშებდით. თუ „ელ კლასიკოს“ მოვიგებდით, წლეულს „რეალის“ საჩემპიონო შანსები გაიზრდებოდა. ყველანი მობილიზებულები ვიყავით.

— ზოგი აცხადებს, მესის ეტოოსთან და რონალდინიოსთან ურთიერთობა გაუფუჭდაო. ეს მართალია?

**მესი**: მეც გავიგე ეს და ძალიან გამიკვირდა. სინამდვილეში ყველაფერი პირიქითაა — მინდორზეც და მის გარეთაც ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ და გვეცინება, როცა „კამპ ნოუს“ გასახდელში მომხდარ არარსებულ ჩხუბებზე ვკითხულობთ.

— რა სჭირდებათ „რეალს“ და „ბარსელონას“ უმაღლეს დონეზე სათამაშოდ?

**იგუაინი**: როგორც შაბათს ვითამაშეთ, ისე რომ გავაგრძელოთ, მოგებული მატჩები წაგებულზე გაცილებით ბევრი იქნება. პრიმერადივიზიონის დასრულებამდე 12 ტური დარჩა და მათი მოგება „რეალისთვის“ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

**მესი**: ჩვენ ლიდერები ვართ. მართალია, ისეთი კარგი შედეგები ვერ გვაქვს, როგორც ერთი წლის წინ, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საამსეზონოდ მეტოქეებმა უფრო მეტი წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

— გუტიზე რას გვეტყვით?

**მესი**: მატჩის დასასრულს მაისურა სწორედ გუტის გავუცვალე.

**იგუაინი**: გადასარევი კლასის ფეხბურთელია და იმედია, მის გვერდით კიდევ დიდხანს ვითამაშებ.

# სამუელ ეტოომ მედია გააქიაქა

## არ მესმის, თქვენი რად მესმის

**ᲐᲒᲔᲠ** ახლა იყო, სამუელ ეტოო ფრანკ რაიკარდს და რონალდინიოს სახალხოდ რომ ლანძღავდა და „ბარსელონას“ შინაგათიშულობას და ერთობლივი საბრძოლო სულის არარსებობას უკიჟინებდა. კვირას კი კამერუნელმა ესპანურ TV3-თან ინტერვიუში განაცხადა, „ბარსაში“ ყველაფერი რიგზეა და სიტუაციის გამწვავება და საეჭვო ხმების აგორება მხოლოდ იაფფასიან სენსაციებს დახარბებული მედიის ბრალიაო.

„გაზეთები და ტელევიზია ყველგან და ყველაფერში პრობლემებს ეძებენ. ხან ამბობენ, რომ რონალდინიო გასუქდა, წახდა და „ბარსას“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა სწორედ მისი ბრალია. ხან კი შიდასაგუნდო არარსებულ პრობლემებს გამოჩიჩქნიან. აბა, რა ჰქნან, ყოველდღიურ გაზეთს რაიმე იაფმა სენსაციამ გაყიდვაში ხელი ხომ უნდა შეუწყოს?!“ — თქვა აფრიკელმა ფორვარდმა.

ესპანური მედიის გაქიაქების შემდეგ ეტოომ ლეო მესი ქებით ცამდე აიყვანა.

„ვიცოდი, რომ ლეო კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მან „კამპ ნოუზე“ მადრიდის „რეალთან“ გააკეთა, არგენტინელს ყოველთვის დიდებს შორის მოვიხსენიებ. მესის „საშემოდგომო გამოცდად“ გოლების გატანა ჰქონდა მოტოვებული, თუმცა მძიმე ტრავმისგან ახლახან მომჯობინებულმა ეს გამოცდა ისე ჩააბარა, საფეხბურთო საქმის პროფესორებს გაოცებისგან ჯერაც პირი აქვთ დაღებული“ — განაცხადა ეტოომ.

**ლადო ხომერიკი**



# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 1 | ასტონ ვილა-არსენალი | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| 23:45 | 3 | სიტი-ჩელსი | 7.00 | 3.80 | 1.45 | 2.46 | 1.20 | 1.04 |
| | | 17 მარტი | | | | | | |
| 16:45 | 5 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.35 | 4.30 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.90 |
| 19:00 | 6 | მიდლსბრო-სიტი | 1.85 | 3.30 | 4.30 | 1.18 | 1.29 | 1.86 |
| 19:00 | 7 | რედინგი-პორტსმუთი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 19:00 | 8 | ტოტენჰემი-უოტფორდი | 1.35 | 4.10 | 10.00 | 1.01 | 1.18 | 2.90 |
| 19:00 | 9 | უიგანი-ვესტჰემი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 19:00 | 10 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| 19:00 | 11 | ჩელსი-შეფილდი | 1.17 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.08 | 4.28 |
| 21:15 | 12 | ბლეკბერნი-ვესტ ჰემი | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 17:35 | 13 | ასტონ ვილა-ლივერპული | 4.00 | 3.20 | 1.95 | 1.77 | 1.31 | 1.21 |
| 20:00 | 15 | ევერტონი-არსენალი | 3.30 | 3.10 | 2.20 | 1.59 | 1.31 | 1.28 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 16 | ქოვენტრი-ვულვერჰემპტონი | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 23:45 | 17 | ლესტერი-ლიდსი | 1.85 | 3.30 | 3.95 | 1.18 | 1.25 | 1.79 |
| 23:45 | 18 | ლუტონი-ჰალი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 19 | ნორვიჩი-ბირმინგემი | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 23:45 | 20 | დერბი-ქპრ | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 23:45 | 21 | საუთჰემპტონი-კარდიფი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 23:45 | 22 | პრესტონი-იფსვიჩი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 23:45 | 23 | უენსდეი-კოლჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:45 | 24 | საუთენდი-ბარნსლი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:45 | 25 | სანდერლენდი-სტოკი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 26 | ვესტ ბრომვიჩი-კრისტალ პალასი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 23:45 | 27 | პლიმუტი-ბერნლი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 39 | მილუოლი-ჯილი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 23:45 | 40 | ბრედფორდი-ბრენტფორდი | 1.45 | 3.70 | 6.60 | 1.04 | 1.18 | 2.37 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 53 | დონი-მაკლსფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | **ინგლისი. კონფერენცია** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 66 | ალდერშოტი-უოკინგი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 23:45 | 68 | კემბრიჯი-იორკი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 69 | გრეისი-ტამვორთი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 70 | ჰალიფაქსი-რაშდენი | 2.10 | 3.30 | 2.95 | 1.28 | 1.22 | 1.55 |
| 23:45 | 71 | მორეკამბი-ალტრინჩემი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 73 | ოქსფორდი-კიდერმინსტერი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 74 | სტ.ალბანსი-დაგ ენდ რედი | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 23:45 | 75 | სტ.რეინჯერსი-გრეივსენდი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 76 | სტივენიჯი-საუთპორტი | 1.50 | 3.50 | 5.65 | 1.04 | 1.18 | 2.16 |
| 23:45 | 77 | ვეიმუთი-ქროული | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 90 | მაზერველი-აბერდინი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 563 | პარტიკი-სტ.ჯონსტონი | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| 23:45 | 564 | როსი-ჰამილტონი | 2.45 | 3.40 | 2.40 | 1.42 | 1.21 | 1.40 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 568 | დამბარტონი-სტენჰაუსმუირი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 569 | ისტ სტერლინგი-არბროთი | 5.60 | 4.20 | 1.42 | 2.40 | 1.13 | 1.06 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 566 | ოსნაბრიუკი-მაგდებურგი | 1.60 | 3.40 | 5.10 | 1.08 | 1.21 | 2.03 |
| 22:30 | 567 | ვილჰელმსჰაფენი-ემდენი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 189 | ბარი-ჩეზენა | 2.20 | 2.70 | 3.50 | 1.21 | 1.35 | 1.52 |
| 18:00 | 190 | ფროზინონე-პესკარა | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 18:00 | 191 | ჯენოა-ბრეშა | 1.85 | 2.90 | 4.50 | 1.12 | 1.31 | 1.76 |
| 18:00 | 192 | იუვენტუსი-ტრევიზო | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| 18:00 | 193 | მანტოვა-სპეცია | 1.60 | 3.00 | 6.00 | 1.04 | 1.26 | 2.00 |
| 18:00 | 194 | მოდენა-ბოლონია | 3.00 | 2.70 | 2.50 | 1.42 | 1.36 | 1.29 |
| 23:45 | 195 | რიმინი-ლეჩე | 1.80 | 2.70 | 5.50 | 1.08 | 1.35 | 1.81 |
| 18:00 | 196 | ტრიესტინა-არეცო | 2.00 | 2.70 | 4.00 | 1.14 | 1.33 | 1.61 |
| 18:00 | 197 | ვერონა-პიაჩენცა | 2.70 | 2.70 | 2.65 | 1.35 | 1.33 | 1.33 |
| 18:00 | 199 | ნაპოლი-ვიჩენცა | 1.65 | 2.90 | 6.00 | 1.05 | 1.29 | 1.95 |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 198 | ალბინოლეფე-კროტონე | 1.95 | 2.60 | 4.50 | 1.11 | 1.36 | 1.64 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 21:15 | 441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 23:45 | 442 | ვერდერი-სელტა | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| 23:45 | 443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 23:45 | 444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| | | 15 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 445 | შახტარი-სევილია | 2.90 | 3.20 | 2.35 | 1.52 | 1.29 | 1.35 |
| 23:35 | 446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.95 | 3.40 | 3.60 | 1.23 | 1.26 | 1.74 |
| 23:45 | 447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.40 | 3.90 | 8.10 | 1.03 | 1.19 | 2.63 |
| 23:45 | 448 | ბენფიკა-პსჟ | 1.65 | 3.30 | 5.80 | 1.10 | 1.28 | 2.10 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | 18 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 451 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი (ნ) | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | 14 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 459 | ანდერლეხტი-გენკი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:30 | 460 | მეხელენი-გენტი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 23:30 | 461 | კორტრაიკი-ბრიუგე | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 23:30 | 462 | სტანდარდი-ანტვერპენი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 467 | პლოცკი-არკა | 2.30 | 3.00 | 2.65 | 1.30 | 1.23 | 1.40 |
| 23:30 | 468 | კორონა-ლეხი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| | | **ავსტრია. თასი** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 452 | ლუსტენაუ-მატერსბურგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 22:00 | 453 | კაპფენბერგი-ზალცბურგი | 6.50 | 3.70 | 1.45 | 2.35 | 1.18 | 1.04 |
| 22:30 | 454 | რიდი-აუსტრია | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | 13 მარტი | | | | | | |
| 19:30 | 469 | კპპ-მიუპა | 4.25 | 3.40 | 1.65 | 1.88 | 1.18 | 1.11 |
| | | **როიალ ლიგა. 15 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 565 | ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ასტონ ვილა-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12003 | სიტი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12090 | მოზერველი-აბერდინი | 1.60 | 2.00 |
| 12441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 12442 | ვერდერი-სელტა | 1.90 | 1.70 |
| 12443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.60 | 2.00 |
| 12444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 12445 | შახტარი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 2.10 | 1.55 |
| 12447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.70 | 1.90 |
| 12448 | ბენფიკა-პსჟ | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ასტონ ვილა-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | სიტი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13090 | მოზერველი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13442 | ვერდერი-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.90 | 1.70 |
| 13445 | შახტარი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.55 | 2.10 |
| 13447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.90 | 1.70 |
| 13448 | ბენფიკა-პსჟ | 1.95 | 1.65 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ასტონ ვილა-არსენალი | 2.30 | 1.65 |
| 14003 | სიტი-ჩელსი | 2.60 | 1.20 |
| 14090 | მოზერველი-აბერდინი | 2.00 | 1.80 |
| 14441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.65 | 2.20 |
| 14442 | ვერდერი-სელტა | 1.20 | 2.60 |
| 14443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.60 | 2.30 |
| 14444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.20 | 2.60 |
| 14445 | შახტარი-სევილია | 2.00 | 1.80 |
| 14446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.65 | 2.20 |
| 14447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.20 | 2.60 |
| 14448 | ბენფიკა-პსჟ | 1.30 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ასტონ ვილა-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | სიტი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | მოზერველი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15441 | ლევერკუზენი-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15442 | ვერდერი-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15445 | შახტარი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15448 | ბენფიკა-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ასტონ ვილა-არსენალი | 2.30 | 1.45 |
| 16003 | სიტი-ჩელსი | 5.00 | 1.10 |
| 16090 | მოზერველი-აბერდინი | 2.10 | 1.55 |
| 16441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.36 | 2.60 |
| 16442 | ვერდერი-სელტა | 1.07 | 5.30 |
| 16443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.32 | 2.80 |
| 16444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.07 | 5.30 |
| 16445 | შახტარი-სევილია | 1.95 | 1.65 |
| 16446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.37 | 2.60 |
| 16447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.08 | 5.30 |
| 16448 | ბენფიკა-პსჟ | 1.22 | 3.60 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ასტონ ვილა-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | სიტი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | მოზერველი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17441 | ლევერკუზენი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17442 | ვერდერი-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17445 | შახტარი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.85 | 1.95 |
| 17448 | ბენფიკა-პსჟ | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ასტონ ვილა-არსენალი | 3.90 | 2.00 | 2.55 | 1.32 | 1.54 | 1.12 |
| 10003 | სიტი-ჩელსი | 6.50 | 2.20 | 1.85 | 1.64 | 1.44 | 1.00 |
| 10090 | მოზერველი-აბერდინი | 3.35 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.51 | 1.15 |
| 10441 | ლევერკუზენი-ლანსი | 2.40 | 2.00 | 4.20 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10442 | ვერდერი-სელტა | 1.80 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.43 | 1.73 |
| 10443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 2.35 | 2.10 | 4.30 | 1.10 | 1.51 | 1.41 |
| 10444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.75 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.39 | 1.73 |
| 10445 | შახტარი-სევილია | 3.40 | 2.00 | 2.80 | 1.25 | 1.53 | 1.16 |
| 10446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 2.35 | 2.00 | 4.20 | 1.08 | 1.50 | 1.35 |
| 10447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.80 | 2.30 | 7.00 | 1.00 | 1.43 | 1.73 |
| 10448 | ბენფიკა-პსჟ | 2.10 | 2.10 | 5.50 | 1.04 | 1.51 | 1.51 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ასტონ ვილა-არსენალი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11003 | სიტი-ჩელსი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.80 |
| 11090 | მოზერველი-აბერდინი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11441 | ლევერკუზენი-ლანსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11442 | ვერდერი-სელტა | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11443 | ოსასუნა-რეინჯერსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11444 | ტოტენჰემი-ბრაგა | 1.80 | 15.00 | 25.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11445 | შახტარი-სევილია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11446 | ალკმაარი-ნიუკასლი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11447 | ესპანიოლი-მაკაბი ჰ | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11448 | ბენფიკა-პსჟ | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## ქართული ლეგიონი

# ზაზა იქით და, ევროპაშიც ამბებია...



**გასული კვირა** „ატლანტასი“ და მისი ქართველი ცენტრის, ზაზა ფაჩულიასი იყო. ჯორჯიელებს მთავარმწვრთნელი ჯო ჯონსონი დაუშავდათ, მაგრამ ულიდეროდ დარჩენილებმა მაინც მოახერხეს სამივე მატჩის მოგება და ამაში ფაჩულიას წვლილი უდიდესია.

ზაზამ „ვაშინგტონთან“ სულაც კარიერის რეკორდი დაამყარა, 27 ქულა დააგროვა და ბომბარდირობასთან ერთად მატჩის საუკეთესო მოთამაშეც გახდა.

მთლად ასე არა, მაგრამ ფაჩულიამ გასული კვირის დანარჩენ მატჩებშიც ჩინებულად ითამაშა. „ატლანტამ“ „მემფისი“ რომ დაამარცხა, ქართველმა ცენტრმა 11 ქულასა და 7 მოხსნას მოუყარა თავი. ეს ბრწყინვალე შედეგი არ არის, მაგრამ ზაზას მაინც დაეკვეხნება, რადგან მისმა უშუალოდ კონკურენტმა, უცნობილესმა პაუ გასოლმა 10 ქულისა და სულ რაღაც 4 მოხსნის მოგროვება მოახერხა. გასოლი მანამდეც და „ატლანტასთან“ მატჩის შემდეგაც 20 ქულას იშვიათად ჩამოსცდენია, თუმც როგორც გამოჩნდა, ქართველთან მან ვერ გაინავარდა და „ატლანტამაც“ იმარჯვა.

გასული კვირის ბოლო მატჩში კი ზაზამ მოხსნებში მიმდინარე სეზონის პირადი რეკორდი გაიმეორა და თან ეს ამ კომპონენტში ლიგის ლიდერ კევინ გარნეტთან პაექრობაში მოახერხა. ქართველის 14 მოხსნის წილ გარნეტმა 10 დააგროვა, თუმც ქულებში „მინესოტას“ ლიდერმა ორმაგად აჯობა ზაზას — 32:16. სამაგიეროდ, „ატლანტამ“ იმარჯვა და სამმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო.

ევროპაში გადმოვინაცვლოთ, სადაც მორიგი იმედისმომცემი მატჩი ჩაატარა ნბა-გამოვლილმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა. „ცქიტოს“ აქამდელი საუკეთესო შედეგი „რეალთან“ მითვლილი 16 ქულა იყო, ახლა კი მან ზუსტად ამდენ წუთში 12 ქულა ჩაუკალათა არანაკლებ ძლიერ „ბარსელონას“. ნიკამ 4-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 8-დან რვავე საჯარიმო გამოიყენა. სამწუხარო ისაა, რომ ქართველ ფორვარდს გარჯა ნაკლებად დაუფასდა — მისმა „სან ფერნანდომ“ შინ წააგო.

დანარჩენი ლეგიონერებისგან გამოსარჩევია ტაირონ ელისის 24 წუთში მოხვეჭილი 15 ქულა, თუმც მისმა „ნაპოლიმაც“ წააგო „აველინოსთან“ და ქართველად ნატურალიზებულ ამერიკელს დიდად არ გაუხარდებოდა.

ვიქტორ სანიკიძეს ნაკლები წილი უდევს, თუმც მაინც გასახარია, რომ მისმა „ესტუდიანტესმა“ ევროთასის ოთხთა ფინალის საგზური მოიპოვა. სევილიაში გასული კვირის დასაწყისში მოგებული პირველი საპლეიოფო მატჩის შემდეგ „ესტუდიანტესმა“ მოსკოვის ოლქშიც დაამარცხა „დინამო“ და ახლა მეტოქის მოლოდინშია. პარალელური დაპირისპირება კვიპროსულ აელ-სა და უკრაინულ „აზოვმაშს“ შორის მესამე მატჩში გადაიზარდა. გადამწყვეტ შეხვედრას მარიუპოლი უმასპინძლებს.

საფრანგეთში მორიგი გამარჯვება იზეიმა ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონმა“, რომელმაც ბოლოადგილოსანი „ბურგი“ სტუმრად დაალონა და ლიგის ლიდერებს მიუახლოვდა.

ბოლოს მანუჩარ მარკოიშვილზეც ვთქვათ, ვისმა „ოლიმპიამაც“ ადრიატიკის ლიგაზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა და პლეი ოფში გასასვლელად იბრძვის. მანუმ „სპლიტთან“ ლიუბლიანელებს 20 წუთში 11 ქულა მიაშველა და „ოლიმპიაც“ ხორვატიიდან გვარიანი ალაფით წამოვიდა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | სპლიტი | ს | 91:67 | 20 | 11 | 3 | 3 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ვარეზე | შ | 74:61 | 13 | 0 | 2 | 0 |
| | | ულების თასი | უნიკსი | შ | 96:97 | 12 | 4 | 4 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | ბურგი | ს | 69:67 | 22 | 7 | 5 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ევროთასი | დინამო | ს | 78:74 | 9 | 3 | 2 | 0 |
| | | ევროთასი | დინამო | შ | 80:70 | არ უთამაშია | | | |
| | | ესპანეთის ჩემპიონატი | ხირონა | ს | 84:79 | არ უთამაშია | | | |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ბარსელონა | შ | 85:95 | 16 | 12 | 6 | 1 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ბალტიის ლიგა | ნევეჟისი | ს | 84:85 | 2 | 1 | 1 | 0 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ასკ-იუნიორები | ლატვიის უმაღლესი ლიგა | ვალმიერა | ს | 80:88 | 23 | 6 | 5 | 2 |
| | | | ბარონსი | შ | 68:87 | 15 | 2 | 2 | 2 |
| გიორგი ცინცაძე. | როკი | ესტონეთის ჩემპიონატი | პარნუ | ს | 110:63 | 26 | 8 | 4 | 3 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | პრიენუ | შ | 110:94 | 22 | 15 | 8 | 0 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | აველინო | ს | 75:88 | 24 | 15 | 2 | 1 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | ვაშინგტონი | შ | 100:97 | 39 | 27 | 12 | 4 |
| | | | მემფისი | შ | 106:105 | 22 | 11 | 7 | 1 |
| | | | მინესოტა | შ | 99:93 | 35 | 16 | 14 | 2 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

# კადეტთა გზა თურქეთზე გადის

**გუშინ** საქართველოს 1992 წელს დაბადებულთა ნაკრები თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე, სადაც 5 დღე დარჩება და ოთხ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ეს ის ნაკრებია, რომელიც მომავალ წელს კადეტთა ასაკში შევა და საქართველოს სახელს ევროჩემპიონატზე დაიცავს. კალათბურთის ფედერაციამ თადარიგი აქედანვე დაიჭირა და 92-წლიანთა ნაკრების საფუძვლიანი მომზადება დაიწყო.

გუნდის მთავარი მწვრთნელი გელა წულაძე გახლავთ, მას გია კაზანჯიანი ეხმარება. ჩვენები გუშინ ბათუმში მატარებლით გაემგზავრნენ, საიდანაც თურქეთში ავტობუსით გადავლენ და ტრაბზონში დაბანაკდებიან. ქართველების სამი მეტოქე ცნობილია, ხოლო მეოთხის ვინაობა ადგილზე გაირკვევა. წულაძის შეგირდები „დარუშაფაკას“, „ეფესის“ და „ფენერბაჰჩეს“ კადეტთა გუნდებს გაეჯიბრებიან.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



კობი ბრაიანტი „დალასის“ დაცვაში ჩაიკარგა

# აზნაურმა მჭადი ჭამა

11 მარტი

**მაიამი 106:104 ვაშინგტონი**
მაიამი: ჯონსი (18), პეიტონი (17), მურნინგი (16)
ვაშინგტონი: არენასი (33), ჯემისონი (26 ქულა, 15 მოხსნა)

**ლეიკერსი 72:108 დალასი**
ლეიკერსი: ბრაიანტი (25)
დალასი: ჰოვარდი (24), ნოვიცკი (19), ტერი (14)

**ტორონტო 120:119 სიეტლი**
ძირითადი დრო 106:106
ტორონტო: ბოში (27 ქულა, 10 მოხსნა), ფორდი (25 ქულა, 13 პასი), ბარნანი (19)
სიეტლი: ალენი (36), ლუისი (26 ქულა, 13 მოხსნა), პეტრო (13 ქულა, 13 მოხსნა)

**ჰიუსტონი 103:92 ორლანდო**
ჰიუსტონი: მინი (37), მაკრეიდი (19 ქულა, 10 პასი), ჰოვარდი (14)
ორლანდო: ჰილი (17), ჰოვარდი (16 ქულა, 12 მოხსნა), მილიჩიჩი (15)

**კლიპერსი 80:98 დეტროიტი**
კლიპერსი: მაგეტი (19), ტომასი (16)
დეტროიტი: ჰამილტონი (23), ვებერი (19 ქულა, 11 მოხსნა), ბილაფსი (17 ქულა, 12 პასი)

**ბოსტონი 7&94 ჩიკაგო**
ბოსტონი: გრინი (15)
ჩიკაგო: ჰაინრიხი (26), გორდონი (21), დენგი (17), ვოლესი (10 ქულა, 14 მოხსნა)

**კლივლენდი 99:88 ინდიანა**
კლივლენდი: ჯეიმსი (26), ჰიუზი (23),
ინდიანა: დანლივი (25), გრეინჯერი (17)

**პორტლენდი 106:87 გოლდენ სტეიტი**
პორტლენდი: როი (26), რენდოლფი (25)
გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (16)

**საკრამენტო 101:113 დენვერი**
საკრამენტო: ბიბი (34), მარტინი (19), არტესტი (17)
დენვერი: ენტონი (29), აივერსონი (24), კლიზა (24), კემბი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**აზნაური** მჭადს არ შეჭამსო, ეს ნათქვამი სწორედ რომ „მაიამის“ მიესადაგება. ჩემპიონებს სანამ დუეინ უეიდი არ დაემტვრათ და ისედაც გამარჯვებებს მოშიებულებს უპლეიოფოდ დარჩენის საფრთხე არ დაემუქრა, მანამდე არ ამოძრავდნენ. ამოძრავდნენ და მერე როგორ! ეს უკვე ზედიზედ მეექვსე მოგებაა მათთვის, ამასთან „დივიზიონის“ ლიდერ „ვაშინგტონთან“ და ახლა „მაიამის“ ამ ლიდერთან ერთი ნაბიჯიღა აშორებს.

მაიამელთაგან თავი განსაკუთრებით არავის გამოუჩენია. ერთბაშად 8 მათგანმა ჩააგდო 10 და მეტი ქულა, რაც პირველად მოხდა ბოლო 16 წელიწადში, მაშინ, როდესაც დედაქალაქელები ძირითადად სამი კაცის — ჯილბერტ არენასის, ანთაუნ ჯემისონის და კერონ ბატლერის იმედად იყვნენ. ამ სამეულიდან პირველმა ორმა გადასარევად ითამაშა, მესამემ კი ვერაფერი გააკეთა.

შეხვედრა მაინც თანაბარი გამოვიდა. არენასმა მატჩის დამთავრებამდე 3 წამით ადრე ორი საჯარიმო რომ ჩააგდო და 104:104 გაათანაბრა, ყველა ოვერტაიმის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ მაიამელმა ადონის ჰასლემმა სირენამდე 0,3 წამით ადრე სამი მეტრიდან ორიანი ჩააკალათა და თავისიანებს დამატებით დროში წვალება აარიდა.

მოკლედ, ჩემპიონი ფერზე მოვიდა და მაგიდას მიუჯდა, ასე რომ, პლეი ოფს მისი სახით კიდევ ერთი კარგი გუნდი შეემატება. „მაიამის“ მიერ შარშანდელ ფინალში სასწაულით ძლეული „დალასი“ კი უმადობას არასდროს უჩიოდა, ამ სეზონში ის სულ ფორმაშია და ამის კიდევ ერთხელ დასამტკიცებლად ლოს ანჯელესში იქაური „ლეიკერსი“ 36 ქულით შემუსრა. ეს დალასისთვის ზედიზედ მე-17 გამარჯვება იყო და ამით ტეხასელები გაუტოლდნენ ამ სეზონში ასევე მიჯრით 17 მატჩის მომგებ „ფინიქსს“.

„დალასს“ ბოლო წლებში სულ უჭირდა „ლეიკერსთან“ თამაში. შარშან ამ უკანასკნელის ლიდერმა კობი ბრაიანტმა სამ მეოთხედში 61 ქულა ჩაუგდო, მაგრამ ახლა ყველაფერი პირუკუ მოხდა. დირკ ნოვიცკიმ და კომპანიამ უკვე მეორე მეოთხედშივე მოუთავეს ხელი ბრაიანტის გუნდს, როცა 12-წუთეულში 31:11 დაჩაგრეს და 34 ქულით მოიტოვეს უკან. „ლეიკერსისთვის“ ეს ზედიზედ მეექვსე მარცხი იყო.

**კოტე ყორშია**

# ყველაფერი კარგადაა!

## ვანო გრიქუროვი ჩეხანოდან მსოფლიოს ხედავს



ქართველ ძალოსნებს უმთავრესი ტურნირი შემოდგომაზე ელით. წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს დამატებითი დატვირთვაც აქვს. გუნდური შედეგებით პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გაიცემა. თვეზე მეტია, ნაკრების თავკაცი ვანო გრიქუროვი პოლონეთში იმყოფება ოთხ ძალოსანთან ერთად. გიორგი ასანიძე, არსენ კასაბიევი, რაულ ცირეკიძე და ალბერტ კუზილოვი პატარა ქალაქ ჩეხანოში გადიან შეკრებას. პოლონურ სამზადისსა და შეგირდების სპორტულ ფორმაზე გრიქუროვი გუშინ ტელეფონით გვესაუბრა

**— არსენ კასაბიევმა დაასრულა მკურნალობა?**

— მუხლის ოპერაციის შემდეგ, როგორც იცით, სარეაბილიტაციო პერიოდი ვლადიკავკაზში გაიარა. უკვე ისიც შემოგვიერთდა, თუმცა ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

**— სრულყოფილ სავარჯიშო რიტმში ჩასაჯდომად რამდენი ხანი დასჭირდება?**

— ოპერაციის შემდეგ პროგრესი აშკარაა, მაგრამ საქმეს მაინც ფრთხილად ვუდგებით. ჯერ კიდევ არის საშიშროება, ტრავმამ თავი შეახსენოს. ამიტომ სულ პატარა დატვირთვებით დაიწყებს. დიდ წონებზე კი ალბათ ერთ თვეში ან თვენახევარში მივა.

— რომ არა მუხლის ტრავმა, უკვე გარკვეული უნდა ყოფილიყო, დასჭირდება თუ არა კასაბიევს ზურგის ტკივილის გამო ოპერაცია...

— შარშან არსენი პოლონეთში ლამის პირდაპირ საოპერაციოდ ჩამოვიყვანეთ, მაგრამ პროფესორმა დაგვაიმედა, ქირურგიული ჩარევის თავიდან აცილება შეიძლება, თუ ტკივილი არ შეაწუხებსო. ყველაფერი მაშინ გამოჩნდება, როცა კასაბიევი დიდ სიმძიმეებს შეეჭიდება. იქამდე ვერაფერს ვიტყვით...

**— ალბერტ კუზილოვი და რაულ ცირეკიძე როგორ არიან?**

— საკმაოდ კარგად. სრული დატვირთვებით ვარჯიშობენ.

**— ნაოპერაციები ზვიად სამუკაშვილიც ხომ არ მოასწრებს ამ შეკრებაზე ჩამოსვლას?**

— ზვიადი ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. იგი თბილისში შემოგვიერთდება.

**— პოლონეთში როდემდე რჩებით?**

— ასანიძე და ცირეკიძე 15 აპრილამდე. ბილეთები უკვე დაჯავშნეს. კუზილოვი და კასაბიევი კი ერთი თვით მეტხანს დარჩებიან და ჩემთან ერთად დაბრუნდებიან. მერე ერთი თვე თბილისში მოვემზადებით და დასკვნით ორთვიან შეკრებას, სავარაუდოდ, ისევ პოლონეთში მოვაწყობთ.

— ყველაფერი კარგადაა. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ და სპორტული და საცხოვრებელი პირობებიც ნორმალური გვაქვს. ერთი ეგაა, გიორგი ასანიძეს ცოტა ფეხი აწუხებს. ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი.

**— ვარჯიშში ხელს არ უშლის?**

— ისეთი ტრავმა არაა, რომ მის გამო დასვენება დასჭირდეს. ჩვეულებრივად ვარჯიშობს, თითქმის სრული დატვირთვით. ნელ-ნელა მოუმატებს. ზოგადად კი შეკრების დაწყებამდეც ვთქვი, რომ გიორგის ათენის შემდგომმა დასვენებამ არგო. იგი დღეს ბევრად უკეთეს ფორმაშია, ვიდრე 2004 წლის დასაწყისში. იმედია, პროგრესი გაგრძელდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# კოკაიმ პრეზიდენტს რუსი ნაუქცია

## ცისფერმა დრაკონმა შავად დაიწყო

**ოსაკას** სპორტის სასახლეში სეზონის მეორე დიდი ბაშო დაიწყო. უმაღლეს დივიზიონ მაკუტის 42 დევკაცი იმპერატორის თასისთვის ეჭიდება ერთმანეთს. ქვედა დივიზიონების ასობით მკვიდრი კი რეიტინგის მოსამატებლად და ზემოთ ასაწევად იბრძვის. მაკუტის თხუთმეტტურა ბაშოზე ჯერ მხოლოდ ორი ტური მიილია, მაგრამ უკვე ისეთი ამბები დატრიალდა, ვერავინ ვერ იფიქრებდა.

უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე მდგომი ოთხი სუმოისტი: იოკოძუნა ასასიორუ და ოძეკები: ტიოტაიკაი, ხაკუხო და კოტოოსიუ პირველსავე დღეს დამარცხდნენ. სხვების რა მოგახსენოთ და ასასიორუმ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სულ რაღაც მეორედ წააგო საწყის ტურში კომუსუბის წოდებიან მეტოქესთან. ოსაკაში მონღოლი „ცისფერი დრაკონი“ „ცის თაღად“ წოდებულ თანამემამულე ტოკიტენკუსთან შერცხვა. თუმცა მთავარი სირცხვილი ჯერ კიდევ წინ ელოდა. გუშინ, აღმოსავლეთის მესამე მაეგაშირა მიაბიამასთან დაჭიდების შემდეგ, უარყოფითი ბალანსი ორამდე გაეზარდა. ცნობისთვის, მიაბიამა 182 კილოგრამს იწონის და მაკუტის უმძიმესი კაციცაა.



იოკოძუნასგან განსხვავებით, მარცხნაწვნევმა ოძეკებმა ბალანსი მეორე ტურშივე გამოასწორეს და ასასიორუ უკან მოიტოვეს, მაგრამ თავადაც ლიდერთა მდევრების როლში არიან.

ბოლოს კი ოსაკური ბაშოს საჩვენო მთავარი ამბავი. ლევან ცაგურიას ანგარიშზე ორ ტურში ორი ქულაა. „შავი ზღვის“ პირველ ბრძოლას იაპონიაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო. ჩვენებურმა რუს როხოს აჯობა, მერე კი ზედ ტაკამისაკარიც მიაყოლა და სადღეისოდ მატადორ ამინისკისთან დასაჭიდებლად ემზადება.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# ალეხანდრო ვალვერდემ სამეზობლოში გაიხარა

**პრო-ტურის** სერიის შარშანდელმა გამარჯვებულმა ალეხანდრო ვალვერდემ, ვინც წლეულსაც სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ითვლება, მიყოლებით ორი ერთკვირიანი რბოლა მოიგო მშობლიურ ესპანეთში.

26 წლის ბასკმა, ვინც „კაისე დეპრაგნე-ილეს ბალეარსის“ ლიდერია, ჯერ „ვალენსიის ტურში“ აჯობა ყველას, ხოლო კვირას მისი ტრიუმფით „მურსიის ტური“ დასრულდა.

ვალენსიაში ვალვერდემ გადამწყვეტ უპირატესობას სამთო ეტაპზე მიაღწია, ხოლო „მურსიის ტურში“ გამარჯვება ინდივიდუალურ რბოლაში წარმატების ხარჯზე მოიპოვა.

გენერალურ კლასიფიკაციაში ვალვერდემ 35 წამით აჯობა მეორე ესპანელ ანხელ ვიკიოსოს და 52 წამით კიდევ ერთ თანამემამულეს მანუელ ლიორეტს.

„მურსიის ტური“ ვალვერდემ მეორედ მოიგო. პირველად 2004 წელს იმარჯვა და წარმატებით ფრიად კმაყოფილი იყო, რადგანაც ალეხანდრო სწორედ მურსიაში ცხოვრობს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამარჯვებას მეზობლების თვალწინ მიაღწია.

# პარიზი-ნიცა მილარმა გახსნა



**ბრიტანელი** დევიდ მილარის გამარჯვებით გაიხსნა წლევანდელი ველოსეზონის პირველი მნიშვნელოვანი, პრო-ტურის სერიაში შემავალი რბოლა „პარიზი-ნიცა“.

4,7 კილომეტრიანი პროლოგი მილარმა ექვს წუთსა და ერთ წამში გაიქროლა და ერთი წამით აჯობა ჩეხ რომან კროიცოგერს, ხოლო მესამე ადგილზე გასული ფრანგი სებასტიან ჟოლი ორი წამით ჩამოიტოვა.

30 წლის მილარისთვის, ვინც „სოფი დიუვალის“ წევრია, ასეთი პროლოგების, ანუ მოკლე ინდივიდუალური რბოლების მოგება უცხო ხილი არ არის. სხვა თუ არაფერი, 2000 წელს მან „ტურ დე ფრანსის“ პროლოგში იმარჯვა და უპრესტიჟულესი რბოლის ლიდერის სარგო ყვითელი მაისურაც მოირგო.

პარიზში კვირას დაწყებული რბოლა კი ნიცაში 18 მარტს დასრულდება. პროლოგის გარდა ველოსიპედისტებს 7 ეტაპი აქვთ დასაძლევი, რომელთაგან ყველაზე გრძელი მესამეა — 216-კილომეტრიანი მონაკვეთი ლიმოჟსა და მაურს შორის.

# დი ლუკა სუპერგაზე გაიქცა

**იტალიური** „ლიქუიგასის“ იტალიელი ვარსკვლავის დანილო დი ლუკას გამარჯვებით დასრულდა ერთდღიანი იტალიური კლასიკური რბოლა მილანი — ტურინი.

31 წლის მრბოლმა, ვინაც პრო-ტურის სერიის შარშანწინდელი გამარჯვებული გახლავთ, ფინიშამდე 16 კილომეტრით ადრე, ლეგენდარულ და ავადსახსენებელ, 40-იანი წლების დიდი „ტორინოს“ დამღუპველ სუპერგას მთის ალმართში შეუტია და მწვერვალზე ასულს, უკვე ოცწამიანი უპირატესობა ჰქონდა, რომელიც ტურინამდე უპრობლემოდ შეინარჩუნა.

აღსანიშნავია, რომ 199-კილომეტრიანი მილანი — ტურინის რბოლა უძველესია იტალიურ კლასიკურ რბოლებს შორის და დი ლუკამ წლეულს, სწორედ აქ გამოსვლა ამჯობინა პარიზში ჩასვლასა და პრო-ტურის სერიის პირველ რბოლაში ბორბლების ტრიალს.

## ექვსი ერი 2007



„მამაცი გულები" განსაკუთრებით ბრაიან ოდრისკოლზე ნადირობდნენ

# უჯონო ინგლისმა საფრანგეთი გააფლუდა

**ჩრდილოური რაგბის ყველაზე ეშხიანი ტურნირის ექვსი ერის ბოლოსწინა, მეოთხე ტურში მთავარი ინგლისი — საფრანგეთის ჯახი კვირას იყო, მაგრამ მუღამიანი მატჩები და გამოსარჩევი ამბები შაბათსაც მოხდა. იტალიამ ექვს ერზე რაგბობიდან მოყოლებული, მხოლოდ ახლა შეძლო ორი მატჩის მოგება, ხოლო ირლანდიამ საჩემპიონოდ გვარიანი შანსი შეინარჩუნა**

**შოტლანდია 18:19 ირლანდია**
**შოტლანდია:** 6ს: პატერსონი
**ირლანდია:** 1ლ: ოგარა; 1ზ: ოგარა; 4ს: ოგარა

**იტალია 23:20 უელსი**
**იტალია:** 2ლ: რობერტსონი, მ. ბერგამასკო; 2ზ: პეცი; 3ს: პეცი
**უელსი:** 2ლ: ს. უილიამსი, რიისი; 2ზ: ჯონსი, ჰუკი; 2ს: ჰუკი

**ინგლისი 26:18 საფრანგეთი**
**ინგლისი:** 2ლ: ფლუდი, ტინდალი; 2ზ: ფლუდი, გარეტი; 4ს: ფლუდი (3), გარეტი
**საფრანგეთი:** 6ს: სკრელა (3), იაშვილი (3)

ირლანდიას შოტლანდიასთვის 2002 წლიდან მოყოლებული მიჯრით ხუთჯერ მოუგია და ახლაც იოლ გასეირნებას გეგმავდა. მეტიც, კელტთა კაპიტანი ბრაიან ოდრისკოლი იმაზე წუწუნებდა, მატჩი იქაური დროით დღის ორის ნახევარზე რომ იწყებოდა და მანამდე გემრიელად სადილობას და გასეირნებას ძლივს მოასწრებდა.

ირლანდიელთა კაპიტნის ირონიამ ძალიან გააბრაზა შოტლანდიელები და „მამაცმა გულებმაც", რასაც ჰქვია, ომი გაუმართეს ისტორიულ მოკავშირეებს. შედეგად მძიმედ დაშავდა კელტთა ათი ნომერი რონინ ოგარა, ვინც ჯერ შოტლანდიელთა მძიმე შერკინების წიხლქვეშ გაითელა, მერე კი უწესოდ შებოჭეს და შოკირებული საკაცით გაიყვანეს.

სხვაფრივ ბრაიან ოდრისკოლმა 36-ედ უკაპიტნა ირლანდიას და ლეგენდარულ ქიის ვუდს ეროვნულ რეკორდში ჩაეზიარა. ერთიც ირლანდიამ ბოლო ოთხ სეზონში მესამედ მოინაგრა ეგრეთ წოდებული „სამი გვირგვინი", ანუ ტურნირზე სამივე ბრიტანულ გუნდს აჯობა.

იტალიამ უელსს ოთხი წლის წინ რომში მოუგო, შარშან კარდიფში ფრე ეთამაშა, ახლა კი ისევ გამოიჭირა და ორი კვირის წინ შოტლანდიასთან გამარჯვებას ჩაროზად უელსთან მოგება დააყოლა. რაც იტალია ექვს ერზე რაგბობს, ორი მატჩი ჯერ არ მოუგია და ეს ახლა გაახერხა, რითაც შინ ფანობა ძალიან მოიმრავლა და იქით უქმეებამდე ლამის ყოველდღე, რაგინდარა იტალიელ მინისტრებთან მიპატიჟება გაინაღდა.

ტურის მთავარ ჯახში კი ინგლისმა ულაპარაკოდ მოუგო საფრანგეთს, ვისაც არ ჰყავდა თხილამურობისას წვივის ორ ადგილში გადამტეხი სილვენ მარკონე. ძირითადში ირაგბა ინგლისის მტარვალად წოდებულმა ტომით ქართველმა დიმიტრი იაშვილმა, მაგრამ ბრიტებს ოდენ ცხრა ქულა აჯახა. მატჩის გმირი კი სრულიად მოულოდნელად ინგლისელთა ათი ნომერი ტობი ფლუდი გახდა, რომელიც ლაჯმტკივანი ჯონი უილკინსონის ნაცვლად თამაშობდა. ჯადო-ჯონის 2003 წლის მსოფლიოს თასის აქეთ 31-ე სანაკრებო მატჩი გაუცდა. ტობი ფლუდმა კი თავის წილ 16 ქულა უთავაზა ფრანგებს.

**ბაჩო სვანიძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 0 | 1 | +42 | 6 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 | +38 | 6 |
| ინგლისი | 3 | 0 | 1 | +23 | 6 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | -26 | 4 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 3 | -29 | 2 |
| უელსი | 0 | 0 | 4 | -36 | 0 |

V ტური. 17 მარტი
**იტალია — ირლანდია**
**საფრანგეთი — შოტლანდია**
**უელსი — ინგლისი**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

11 მარტი

**დეტროიტი 3:6 ბოსტონი**
*2:1 0:2 1:3*
0:1 შტურმი (6), 1:1 გუდლერი (8), 2:1 ლიდსტრომი (9), 2:2 შტურმი (26), 2:3 ტენკრატი (32), 2:4 ბერჟერონი (43), 2:5 კობასიუ (49), 3:5 ლანგი (53), 3:6 კესელი (55)

**რეინჯერსი 2:1 კაროლინა**
*1:0 0:1 0:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 მალიკი (10), 1:1 უილიამსი (31)

**მინესოტა 3:2 კოლორადო**
*1:1 0:0 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 კოივუ (12), 1:1 პეიდუკი (17), 1:2 ლაპერერი (50), 2:2 კოივუ (51), 3:2 ბარნსი (65)

**დალასი 4:3 ლოს ანჯელესი**
*2:1 0:0 1:2 1:0 (ოვერტაიმი)*
0:1 ბრაუნი (8), 1:1 ნაგი (16), 2:1 [illegible] (20), 2:2 უილსი (42), 3:2 მაგმანი (45), 3:3 ბრაუნი (46), 4:3 მოდანო (61)

**ანაჰაიმი 4:2 ვანკუვერი**
*3:1 0:1 1:0*
1:0 სელიანე (7), 1:1 ბაროუზი (10), 2:1 მაკდონალდი (16), 3:1 მაკდონალდი (17), 3:2 სოპელი (29), 4:2 სელიანე (47)

**სან ხოსე 3:0 ედმონტონი**
*1:0 0:0 2:0*
1:0 ბერნიე (13), 2:0 მაკლარენი (57), 3:0 კარლი (60)

## ლიგის ლიდერები

ბომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 100 (28+72); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 93 (46+47); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 92 (39+53); მარიან ჰოსა (ატლანტა) 89 (40+49); მარკ სავარი (ბოსტონი) 88 (21+67); დენი ჰითლი (ოტავა) 88 (42+46); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 86 (16+70); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 81 (41+40); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 81 (39+42); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 80 (28+52).

გოლეადორები: ლეკავალიე 46; ჰითლი 42; სელიანე 41; ჰოსა 40; ოვეჩკინი, სენ ლუი 39-39; სიმონ დანიე (ფილადელფია) 37; ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 36; ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი) 35.

| აღმოსავლეთ კონფერენცია | მ | შ | ქ |
|---|---|---|---|
| ბუფალო | 68 | 256:200 | 93 |
| ნიუ ჯერსი | 69 | 186:167 | 92 |
| ტამპა | 70 | 221:216 | 82 |
| ოტავა | 69 | 238:191 | 85 |
| პიტსბურგი | 68 | 232:213 | 84 |
| ატლანტა | 70 | 215:216 | 82 |
| აილენდერსი | 68 | 204:190 | 78 |
| რეინჯერსი | 69 | 198:190 | 76 |
| კაროლინა | 70 | 203:211 | 76 |
| ტორონტო | 69 | 216:225 | 75 |
| მონრეალი | 70 | 203:220 | 74 |
| ბოსტონი | 69 | 198:241 | 71 |
| ფლორიდა | 69 | 201:217 | 71 |
| ვაშინგტონი | 69 | 201:247 | 60 |
| ფილადელფია | 68 | 183:255 | 49 |

NHL. NHL. NHL. NHL. NHL. NHL. NHL. NHL.

| დასავლეთ კონფერენცია | მ | შ | ქ |
|---|---|---|---|
| ნეშვილი | 70 | 242:181 | 98 |
| ანაჰაიმი | 70 | 224:178 | 95 |
| ვანკუვერი | 69 | 186:173 | 87 |
| დეტროიტი | 69 | 218:173 | 95 |
| დალასი | 68 | 180:164 | 85 |
| სან ხოსე | 69 | 204:171 | 85 |
| მინესოტა | 70 | 200:174 | 85 |
| კალგარი | 68 | 220:185 | 82 |
| კოლორადო | 69 | 225:216 | 74 |
| სენტ ლუისი | 68 | 179:207 | 68 |
| ედმონტონი | 69 | 176:205 | 66 |
| ჩიკაგო | 68 | 172:210 | 61 |
| კოლუმბუსი | 69 | 169:212 | 61 |
| ფინიქსი | 68 | 182:235 | 57 |
| ლოს ანჯელესი | 69 | 192:241 | 57 |

კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთეს მაჩვენებლებს



# უოლკერმა ოზეთი გადაჭოკა



**მაშინ,** როდესაც ევროპელი მძლეოსნები ზამთრის სიცივეს დარბაზებში აფარებენ თავს და იქ ეჯიბრებიან ერთმანეთს, სამხრეთ ნახევარსფეროში ახლა გვარიანად თბილა და ავსტრალიურმა ბრესბენმა ჭერსგარე, ანუ ჩვეულებრივ სამძლეოსნო მოედანზე უმასპინძლა ოზთა ღია პირველობას.

ადგილობრივი გულშემატკივარი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა 100 მეტრზე მორებნალ ჯოშ როსს. აბორიგენმა ავსტრალიელმა ეს დისტანცია 10,08 წამში გაირბინა და ქვეყნის რეკორდი ჩამოართვა კიდევ ერთ აბორიგენ ავსტრალიელ პატრიკ ჯონსონს (10,27). ავსტრალიელებთან ბოდიში, ეს შედეგი მათთვის იქნებ უნიკალურიცაა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბებით 10,08 წამი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი შედეგია.

გაცილებით საინტერესო გამოდგა ჭოკით მხოტმელ ვაჟთა შეჯიბრი, რომელიც თავიდან დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ მერე ამერიკელმა ბრედ უოლკერმა ისეთი სიმაღლეები დაჭოკა, წლეულს მსოფლიოში არავის რომ არ უქნია. მან მეორე ცდაზე დაიპყრო 5,70-მეტრიანი სიმაღლე, შემდეგ ასევე მეორე ცდაზე გადაიფრინდა 5,80-ს და სულ ბოლოს 5,95 დაუკვეთა, რაც ასევე მეორე ცდით მოიტოვა დაბლა.

სეზონის რეკორდი რომ გაინაღდა, უოლკერი სულ გათამამდა და 6,04 მეტრს მიეძალა, მაგრამ ამ მწვერვალს ამაოდ დაახარჯა სამივე ცდა და 5,95-ით დაკმაყოფილდა.

**კოტე ყორღანაშვილი**



# SOS! მოწევა, გინება და ფურთხება არ იყოს

**პეკინის** ხელისუფალთ გადაუწყვეტიათ, ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა და სტუმართა თვალში რაც შეიძლება ცივილიზებული ხალხის იმიჯით წარდგნენ. ამიტომაც საკუთარი მავნე ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ-ახალ გზებს ეძებენ. ამ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი „ოლიმპიადა 2008"-ის ობიექტებზე მოწევის აკრძალვაა. ამის თაობაზე პეკინის მერი ლიუ ძინმინი საუბრობს. მისი თქმით, მოწევა მხოლოდ საგანგებოდ საამისოდ გამოყოფილ ადგილებში იქნება შესაძლებელი.

„პეკინის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში ახალ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შეჯიბრებათა ჩატარების ადგილებში მწეველთათვის სპეციალური ადგილების შესაქმნელ პროექტზე მუშაობენ. ამგვარად, ამ ობიექტების უმეტეს ნაწილში თამბაქოს ბოლს ავიცილებთ" — თქვა პეკინის ვიცე-მერმა ლიუ ძინმინმა. შესაბამისი წინადადება პეკინში მიმდინარე ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე წამოაყენეს. ამ საბჭოს დეპუტატმა ცუ ხუაძიენმა თავის მიმართვაში აღნიშნა, რომ ჩინეთის ბევრი მოქალაქე ისე ეწევა, რომ ამკრძალავ ნიშნებს აინუნშიც არ აგდებსო. მისივე თქმით, ოლიმპიური თამაშები არა მხოლოდ ჩინეთის შესაძლებლობათა დემონსტრირება უნდა იყოს, არამედ მსოფლიოსთვის ჩინური კულტურისა და ქვეყნის მოსახლეობის მანერათა ჩვენების შანსიც.

2007 წლის ბოლოსთვის პეკინში ნავარაუდევია მოწევის სრული აკრძალვა იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებს მოემსახურებიან. შემდეგ აკრძალვა გავრცელდება საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ასევე ნაგებობებში და ბავშვების თავშეყრის ადგილებში.

წევის წინააღმდეგ ბრძოლის გარდა პეკინის ხელისუფალნი ისეთი არაცივილიზებული მოვლენების წინააღმდეგაც აპირებენ გალაშქრებას, როგორებიცაა ბილწსიტყვაობა და ქუჩებში ფურთხება. ამ უკანასკნელთან საბრძოლველად საგანგებო „ფურთხების საწინააღმდეგო პატრულიც" კი იქმნება.

## მსოფლიოს თასი. VII ეტაპი
### ჰოლმენკოლენი, ნორვეგია. 8-11 მარტი

# მუსიე პუარე, იქნებ არ გეთქვათ არა!


ოლე ეინარ ბიორნდალენმა და სვენ ფიშერმა რაფაელ პუარე მხრებით გააცილეს

**კვირა** საღამოს ნორვეგიულ ჰოლმეკოლენში ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის ბოლოსწინა ეტაპის ბოლო რბოლა იყო — კაცთა 15 კილომეტრი მასობრივი სტარტით და გენერალური კლასიფიკაციის ლიდერის, გერმანელი მიხაელ გრაისის არყოფნაში დიადმა ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა ზედ ფინიშზე, ოდენ თხილამურის წვერით აჯობა ასევე დიად ფრანგ რაფაელ პუარეს. სამიოდე წამის შემდეგ ფინიში ბიატლონის კიდევ ერთმა ლეგენდამ, გერმანელმა სვენ ფიშერმა გადაკვეთა.

დიდებული რბოლა იყო, მაგრამ ამ წუთას მთავარი სათქმელი სულ სხვაა. თუ რაღაც გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ეს იყო მუსიე პუაროს ბოლო რბოლა.

როდესაც იტალიურ ანტერსელვაში ამ ერთი თვის წინათ ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 32 წლის ფრანგმა 20 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო, ეგრევე განაცხადა — მორჩა, ეს ჩემი ბოლო სეზონია, ლაჰტისა და ჰოლმენკოლენის ეტაპებზეც გამოვალ და მეყოფაო.

გამოვიდა და მერე როგორ: ლაჰტიში, თუმც ბიორნდალენის არყოფნაში, მაგრამ მაინც, სამივე რბოლა მოიგო; ჰოლმენკოლენშიც, იმავე 20 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში გააგრძელა წარმატებათა სერა და მერე კი, გამოდევნებასა და მასსტარტში მეორე იყო ბიორნდალენის შემდეგ.

კვირის მეორეობა მთლად საოცარი იყო — საქმე მილიმეტრებზე იყო და ფინიშისას პუარემ იფიქრა, მე მოვიგეო და ჩვეულად გაიქნია მარჯვენა ხელი.

თურმე ვერ მოიგო და ახლა იმედია, უკვე ბიატლონის ლეგენდად ქცეული ფრანგი, იქნებ სეზონის დასკვნით ეტაპზე, რუსულ ხანტიმანსინსკშიც ჩავიდეს. მით უმეტეს, რომ მოგებით წასვლა უნდა.

არადა, მოგებები მის ფანტასტიკურ კარიერას არ აკლია. ერთი ეგ იყო, ოლიმპიადა ვერ მოიგო — ერთი ვერცხლითა და ორი ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა. ისე, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია, მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელი და თასის ეტაპებზე 44 გამარჯვება აქვას მოპოვებული.

ორმოდამეხუთემდე მილიმეტრები დააკლდა და იქნებ, ამის გამო ერთი კვირაც გაძლოს ფეხებზე თხილამურებითა და ხელში შაშხანით...


მაგდალენა ნოინერი

## კაცები

| 15 კმ მასსტარტი (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 37 წთ 31,69 წმ (2 აცდენა) |
| 2. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | +0,1 წმ (1) |
| 3. სვენ ფიშერი (გერმანია) | +3,4 (0) |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | +35,2 (0) |
| 5. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) | +44,2 (2) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 730 ქულა |
| 2. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 709 |
| 3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 668 |
| 4. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 623 |
| 5. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 563 |

## ქალები

| 12,5 კმ მასსტარტი (4 სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 35 წთ 18,64 წმ (2 აცდენა) |
| 2. კატრინ ჰიტცერი (გერმანია) | +7,5 წმ (2) |
| 3. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | +18,0 (0) |
| 4. ინგ ჩაო კონგი (ჩინეთი) | +25,6 (1) |
| 5. სიმონე დენკინგერი (გერმანია) | +37,9 (2) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 833 ქულა |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 776 |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 765 |
| 4. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 590 |
| 5. ფლორენს ბეველ-რობერი (საფრანგეთი) | 580 |



## მსოფლიოს თასი

# შილდის შვიდი


მარლიზ შილდი

**სლალომის** ავსტრიელმა დედოფალმა მარლიზ შილდმა წლევანდელ სეზონში, უკვე მეშვიდე ეტაპი მოიგო თავის საყვარელ სახეობაში და, თუ მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზეც გააკეთებს იგივეს, ხორვატი იანიცა კოსტელიჩის ექვსი წლის წინანდელ მიღწევას გაიმეორებს.

გერმანულ ცვიზელში მარლიზმა უდიდესი უპირატესობით იმარჯვა უახლოესი მდევრები — მსოფლიოს ჩეხი ჩემპიონი სარკა ზაჰროვსკა და შვედი ანა ოტოსონი თითქმის ორწამნახევრით ჩამოიტოვა და ამ გამარჯვებით მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაშიც დაიბრუნა ლიდერობა.

თუმცაღა, ქალთა გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერი ყოველი ეტაპის შემდეგ იცვლება და ალბათ, ბოლო რბოლამდე ვერ გამოვლინდება გამარჯვებული. ახლაც, საქმე ისეა, რომ პირველობაზე კვლავაც ოთხნი აცხადებენ პრეტენზიას — შილდი, მეორე ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპი, ამერიკელი ჯულია მანკუზო და კიდევ ერთი ავსტრიელი რენატე გიოტჩლი.

მას შემდეგ, რაც მშობლიურ კვიტფიულში სუპერგიგანტის ეტაპი ჩააგდო ნორვეგიელმა აქსელ ლოუნდ სვინდალმა, გაცილებით გამარტივდა კაცთა საერთო ჩათვლის სურათი. სვინდალს თუ სურდა, რომ ტექნიკური სახეობების ავსტრიელ სპეციალისტ ბენჯამინ რაიხს მიახლოებოდა, სწორედ სუპერგიგანტში უნდა მოეპოვებინა ქულები, მაგრამ...

სვინდალი უქულოდ დარჩა და მასსა და რაიხს შორის შვეიცარიელი დიდიე კუშე ჩადგა, ვინც კვირას მესამე იყო. და მაინც, ისეთი პირი უჩანს, ავსტრიელი დიდოსტატი ბენჯამინ რაიხი ზედიზედ მეორედ მოიპოვებს დიდ ბროლის გლობუსს.

## კაცები

| კვიტფიული, ნორვეგია | |
|---|---|
| **სუპერგიგანტი** | |
| 1. ჰანს გრუგერი (ავსტრია) | 1 წთ 29,57 წმ |
| 2. მარიო შაიბერი (ავსტრია) | 1.30,29 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1.30,48 |
| 4. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 1.30,51 |
| 5. ჰერმან მაიერი (ავსტრია) | 1.30,52 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1055 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 963 |
| 3. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 952 |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 743 |
| 5. პეტერ ფილი (იტალია) | 694 |

## ქალები

| ცვიზელი, გერმანია | |
|---|---|
| **სლალომი** | |
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1 წთ 36,67 წმ (46,65+50,02) |
| 2-3. სარკა ზაჰროვსკა (ჩეხეთი) | 1.38,90 (48,27+50,63) |
| 2-3. ანა ოტოსონი (შვედეთი) | 1.38,90 (47,62+51,28) |
| 4. ნიკოლ გიუსი (იტალია) | 1.39,20 (47,79+51,41) |
| 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.39,24 (47,56+51,68) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1302 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1287 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1251 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1200 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 808 |

# მსოფლიოს თასი
## ლაჰტი, ფინეთი
# ლაჰტის თამაშები



კრისტინა შმიგუნი

**ადრე** ასეთ ამბებს ლაჰტის თამაშები ერქვა და ბოლო ორ კვირაში ზამთრის სპორტის ფინურ ცენტრ ლაჰტიში დიდი ამბები იყო — ჯერ ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის ეტაპი ჩატარდა, ხოლო გასულ უქმეებზე იქ იაპონური საპოროდან, ანუ მსოფლიოს ჩემპიონატიდან წამოსული ხალხი შეიყარა — ბარის მოთხილამურეები, ტრამპლინიდან მხტომელები და ორჭიდელები.

მოთხილამურეებმა ოთხი რბოლა ჩაატარეს — ორ-ორი კაცთა და ქალთა შორის. ერთ, ქალთა 10 კილომეტრიან ინდივიდუალურ შეჯიბრს თუ არ ჩავთლით, სულ საპოროს გმირებმა იმარჯვეს — ქალთა სპრინტი ფინელმა ვირპი კუიტუნენმა მოიგო, ხოლო კაცებში ნორვეგიელებმა იბატონეს, რომელთაგან სპრინტში იაპონური ესტაფეტის ლომი პიტერ ნორტუგი, ხოლო 15 კილომეტრზე, საპოროში 50-კილომეტრიანი მარათონის მომგები. ოდ-ბაორნ ჰელმესეტი იყვნენ საუკეთესონი.

გამონაკლისი კი კრისტინა შმიგუნი იყო და ეს ესტონელი დიაცაც არ გახლავთ უცხო ვინმე. სხვა თუ არაფერი, შარშან, ტურინის ოლიმპიადაზე ორი ოქრო მოიპოვა და წლევანდელი, მისთვის შედარებით უფერული სეზონი სწორედ ლაჰტიში გაალამაზა.

საპოროს ლანდი ლაჰტის ტრამპლინებზეც ტრიალებდა. ისევე, როგორც იაპონიაში, გუნდური შეჯიბრი ფინეთშიც ავსტრიელებმა მოიგეს და თავისი წილი გამარჯვება პოლონელმა ადამ მალიშმაც მიითვალა, რომელმაც საპოროში მცირე ტრამპლინზე იმარჯვა, ამჯერად კი დიდ ტრამპლინზე დატოვა მეტოქეები უშანსოდ.

აი, ორჭიდში კი ლაჰტიში იმ ხალხმა იმარჯვა, საპოროში ოქროს რომ ვერ შეწვდა — გერმანელმა ბაიორნ კირხაიზენმა იაპონური ბრინჯაო, ხოლო ამერიკელმა ბილ დემონგმა ვერცხლი, ფინეთში ოქროდ აქციეს, თუმცაღა საერთო ჩათვლის ლიდერის, ჰანუ მანინენის პოციზიები ვერ შეარყიეს.

## თხილამურობა

### კაცები. სპრინტი. 1,2 კმ

1. პეტერ ნორტუგი (ნორვეგია), 2. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია), 3. ეიდარ რონინგი (ნორვეგია), 4. იუიჩი ონდა (იაპონია), 5. იოჰან კიოლსტადი (ნორვეგია)

### კაცები. 15 კმ კლასიკური. ინდივიდუალური

| | |
|---|---|
| 1. ოდ-ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 39 წთ 51,7 წმ |
| 2. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 40.17,8 |
| 3. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 40.18,4 |
| 4. ფროდე ესტილი (ნორვეგია) | 40.22,3 |
| 5. იააკ მაე (ესტონეთი) | 40.44,0 |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 951 ქულა |
| 2. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 573 |
| 3. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 547 |
| 4. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 521 |
| 5. ვენსან ვიტოზი (საფრანგეთი) | 418 |

### ქალები. სპრინტი. 1,2 კმ

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი), 2. რიიტა ლიზა როპონენი (ფინეთი), 3. ანა დალბერგი (შვედეთი), 4. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია), 5. არიანა ფოლისი (იტალია)

### ქალები. 10 კმ კლასიკური. ინდივიდუალური

| | |
|---|---|
| 1. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) | 28 წთ 30,7 წმ |
| 2. ოლგა ზავიალოვა (რუსეთი) | 28.57,4 |
| 3. ვიოლა ბაუერი (გერმანია) | 28.59,6 |
| 4. კრისტინ სტორმერ სტეირა (ნორვეგია) | 29.09,1 |
| 5. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 29.09,4 |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 1319 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 803 |
| 3. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 778 |
| 4. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 631 |
| 5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 625 |

## ტრამპლინიდან ხტომა

### გუნდური. HS 130

| | |
|---|---|
| 1. ავსტრია (ჰოლვარტი, შლირენცაუერი, კოფლერი, მორგენშტერნი) | 1028,7 ქულა |
| 2. ნორვეგია (ჰილდე, ბარდალი, იაკობსენი, ლიოკელსოი) | 1017,0 |
| 3. ფინეთი (ოლი, კიურუ, ჰაუტამაეკი, აჰონენი) | 925,6 |
| 4. რუსეთი (იპატოვი, როსლიაკოვი, კორნილოვი, ვასილიევი) | 916,4 |
| 5. გერმანია (ჰოცკე, სპეტპი, რიტცერფელდერი, შმიტი) | 878,3 |

### პირადი. HS 130

| | |
|---|---|
| 1. ადამ მალიში (პოლონეთი) | 265,8 ქულა (125,0 მ+128,0 მ) |
| 2. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 258,3 (124,0+121,5) |
| 3. მარტინ შმიტი (გერმანია) | 255,7 (121,5+124,5) |
| 4. როარ ლიოკელსოი (ნორვეგია) | 255,1 (121,5+122,5) |
| 5. დმიტრი იპატოვი (რუსეთი) | 244,1 (119,0+122,5) |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 1087 ქულა |
| 2. ადამ მალიში (პოლონეთი) | 953 |
| 3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 915 |
| 4. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 794 |
| 5. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია) | 675 |

## სათხილამურო ორჭიდი

### სპრინტი (ერთი ნახტომი HS130 ტრამპლინიდან + 7,5 კმ)

| | |
|---|---|
| 1. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 18 წთ 58,7 წმ (მე-4 ტრამპლინზე, + 17 წმ) |
| 2. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | +14,2 წმ (13,+42) |
| 3. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | +30,5 (8,+23) |
| 4. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | +33,2 (5,+20) |
| 5. ანსი კოივურანტა (ფინეთი) | +35,0 (6,+20) |

### ინდივიდუალური (2 ნახტომი HS130 ტრამპლინიდან +15 კმ)

| | |
|---|---|
| 1. ბილ დემონგი (აშშ) | 39 წთ 31,9 წმ (10,+1წთ 25 წმ) |
| 2. სებასტიან ჰასენეი (გერმანია) | +6,6 წმ (30,+2.30) |
| 3. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | +15,6 (26,+2.20) |
| 4. რონი აკერმანი (გერმანია) | +18,8 (18,+1.48) |
| 5. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | +31,6 (23,+2.12) |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ჰანუ მანინენი (ფინეთი) | 763 ქულა |
| 2. მაგნუს მოანი (ნორვეგია) | 644 |
| 3. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 643 |
| 4. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | 596 |
| 5. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | 572 |



## მსოფლიოს ჩემპიონატი ცალკეულ დისტანციებზე
### სოლტ ლეიკ სიტი. აშშ. 8-12 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სვენ კრამერმა (მარჯვნივ) და სხვა ჰოლანდიელებმა გუნდური პირველობა არავის დაუთმეს

# კრამერი და რეკორდები

**მსოფლიოს** რეკორდების კასკადით დამშვენდა 2002 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ცალკეულ დისტანციებზე და ამით 2006-07 წლების სეზონი ფაქტობრივად დასრულდა კიდეც.

ქალებში მსოფლიოს რეკორდები გერმანელმა ჯენი ვოლფმა და ჩეხმა თინეიჯერმა მარტინა საბლიკოვამ დაამყარეს. ვოლფმა 500 მეტრი მეორე ცდისას 37,04 წამში გაიქროლა და წამის 18 მეასედი ჩამოაკლო ლეგენდარული კანადელის კატრიონა ლემეი-დოანის ექვსი წლის წინანდელ მიღწევას. სარეკორდო იყო ვოლფის მიერ ორი გარბენის ჯამში ნაჩვენები შედეგიც.

საბლიკოვამ, ვინც ციგურაობაში სტაიერული დისტანციების ახალი დედოფალია, სამ და ხუთ კილომეტრზე აჯობა ყველას, ჰოლანდიელი ირენ ვიუსტის მსგავსად ორი ოქროს მედალი მოიპოვა და თანაც, 5 000 მეტრი აქამდე არნახულ დროში — 6 წუთსა და 45,61 წამში დაფარა.

კაცებში ორი ოქრო — 1000 და 1500 მეტრიან დისტანციებზე ირგუნა შანი დევისმა, თუმღაცა შავკანიან ამერიკელს ამ ჯერზე რეკორდი არ დაუმყარებია. რეკორდი კორეელმა კან სეოკ ლიმ გამოაცხო, რომელმაც ვოლფის დარად მეორე ცდისას აჩვენა სარეკორდო შედეგი და ორი გარბენის ჯამშიც ახალი მიღწევის ავტორი გახდა.

ჩემპიონატის მთავარი გმირი კი ჰოლანდიელი სტაიერი სვენ კრამერი იყო. კლასიკურ მრავალჭიდში მსოფლიოს ჩემპიონმა ჯერ 5 000 მეტრზე იმარჯვა, მერე 10 კილომეტრიანი დისტანცია ახალი მსოფლიოს რეკორდით მოიგო და ბოლოს კი თანაგუნდელებთან — კარლ ვერჰეიენთან და ერბენ ვენემარსთან ერად, ასევე ახალი მსოფლიო რეკორდით იმარჯვა გუნდურ რბოლაში.

### კაცები

**500 მ (2 გარბენის ჯამი)** 1. კან სეოკ ლი (კორეა) 68,69 — მსოფლიოს რეკორდი (34,44+34,25 — მსოფლიოს რეკორდი); 2. იუია ოიკავა (იაპონია) 69,02 (34,45+34,57); 3. ტაკერ ფრედრიკსი (აშშ) 69,03 (34,48+34,55)

**1000 მ** 1. შანი დევისი (აშშ) 1.07,28; 2. დენი მორისონი (კანადა) 1.07,30; 3. ლი კიუ ჰიუკი (კორეა) 1.07,51.

**1500 მ** 1. შანი დევისი (აშშ) 1.42,39; 2. ერბენ ვენემარსი (ჰოლანდია) 1.42,80; 3. დენი მორისონი (კანადა) 1.42,88.

**10000 მ** 1. სვენ კრამერი (ჰოლანდია) 12.41,69 — მსოფლიოს რეკორდი; 2. კარლ ვერჰეიენი (ჰოლანდია) 13.00,46; 3. ბრიგტ რიკე (ჰოლანდია) 13.06,03.

**გუნდური რბოლა** 1. ჰოლანდია 3.37,80 — მსოფლიოს რეკორდი; 2. კანადა 3.38,31; 3. რუსეთი 3.41,23.

### ქალები

**500მ (2 გარბენის ჯამი)** 1. ჯენი ვოლფი (გერმანია) 74,42 — მსოფლიოს რეკორდი (37,38+37,04 — მსოფლიოს რეკორდი); 2. ვან ბეისინი (ჩინეთი) 74,53 (37,24+37,29); 3. საიური ოსუგა (იაპონია) 75,20 (37,69+37,51).

**1000 მ** 1. ირენ ვიუსტი (ჰოლანდია) 1.13,83; 2. ანი ფრიზინგერი (გერმანია) 1.14,26; 3. კრისტინ ნესბიტი (კანადა) 1.14,44.

**3000 მ** 1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხეთი) 3.58,09; 2. რენატე გრუნევოლდი (ჰოლანდია) 3.58,41; 3. სინდი კლასენი (კანადა) 3.58,50.

**5000 მ** 1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხეთი) 6.45,61 — მსოფლიოს რეკორდი; 2. კლაუდია პეხშტაინი (გერმანია) 6.50,79; 3. კრისტინა გროუვზი (კანადა) 6.58,41.

**გუნდური რბოლა** 1. კანადა 2.58,15; 2. ჰოლანდია 2.59,18; 3. გერმანია — 2.59,38.

## ქვეყნები და მედლები

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 4 | 2 | 9 | კორეა | 1 | - | 1 | 2 |
| აშშ | 2 | — | 1 | 3 | იაპონია | - | 1 | 1 | 2 |
| ჩეხეთი | 2 | - | - | 2 | ჩინეთი | - | 1 | - | 1 |
| კანადა | 1 | 3 | 5 | 9 | იტალია | - | 1 | - | 1 |
| გერმანია | 1 | 2 | 1 | 4 | რუსეთი | - | - | 1 | 1 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში**
**მეოთხე ეტაპი. მექსიკა. 366 კმ**



AFP მეხიკოდან

# სამგზის ლოების სამჯერ ათი

**მსოფლიოს** სამგზის ჩემპიონმა სებასტიენ ლოებმა ზედიზედ მეორედ მოიგო მექსიკის სარალო დიდი პრიზი. ეს მის უნიკალურ კარიერაში საიუბილეო, 30-ე გამარჯვება გახდა.

სეზონში პირველი საგრუნტო ეტაპის მარშრუტი მეხიკოდან ხუთასიოდე კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ლეონის შემოგარენში მტვრიან, სრიალა გზებზე გადიოდა. ზღვის დონიდან ორკილომეტრიან სიმაღლეზე ჯირითმა ძრავებს დამატებითი სირთულე შეუქმნა, მათი სიმძლავრე ხომ თითქმის ოცი პროცენტით შემცირდა.

გაიშვიათებულ ჰაერში ექსჩემპიონ პეტერ სოლბერგის ახალი „სუბარუ-იმპრეზა" საუკეთესოდ გრძნობდა თავს. „ჰოლივუდ" პეტერმა საწყისში სამი ჩქაროსნული მონაკვეთის მოგებით სები რვა წამით ჩამოიტოვა, მაგრამ, უკვე მერამდენედ ეს მაგრამ... ნორვეგიელის მანქანას მეექვსე სპეცუბნის დაძლევისას ზეთის რადიატორი გაუსკდა, სითხე გაედინა და ბრძოლას გამოეთიშა.

ასე მოულოდნელად მეწინავეობა ლოებმა იგდო ხელთ და რაკი მას სუპერ „სიტროენმა" ბოლომდე არ უმტყუნა, უზარმაზარი უპირატესობით მიიჭრა ფინიშთან ყველაზე წინ.

წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი მარკუს გრონჰოლმი პირველი დღის მერე მხოლოდ მეხუთე პოზიციაზე იმყოფებოდა, რადგან, თავისივე აღიარებით, საბურავების შერჩევისას შეეშალა. მაგრამ 39 წლის ორგზის ჩემპიონმა მერე ვითარების გამოსწორება შეძლო, ხუთ უბანზე საუკეთესო დრო აჩვენა და საბოლოოდ უპრობლემოდ გავიდა მეორე ადგილზე.

აღსანიშნავია, რომ ლეონში მესამე საპოდიუმე ადგილიც ფორდელთა ეკიპაჟმა დაიკავა, ამდენად ამ ამერიკული სუპერკონცერნის გუნდმა კონსტრუქტორთა თასზე დამაჯერებელი ლიდერობა შეინარჩუნა.

ლოები გრონჰოლმს ორი ქულით კი წამოეწია, თუმც გენერალურ კლასიფიკაციაში თავისთვის უჩვეულოდ უხეირო — მხოლოდ მეორე საფეხურზეა.

მეხუთე ეტაპი მარტის ბოლოს პორტუგალიაში გაიმართება.

**გია ახალაძე**

| რბოლის შედეგები | |
|---|---|
| 1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 48.13,3 |
| 2. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | ჩამორჩა 55,8 |
| 3. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 1.27,7 |
| 4. დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | 1.43,7 |
| 5. კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 2.24,1 |
| 6. მანფრედ შტოლი (ავსტრია, სიტროენი) | 3.45,5 |
| 7. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, ფორდი) | 4.10,8 |
| 8. მეტიუ უილსონი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 12.22,6 |

**საერთო ჩათვლა**

1. გრონჰოლმი — რაუტიაინენი 32 ქულა; 2. ლოები — ელენა 28; 3. ჰირვონენი — ლეჰტინენი 26,4; 4. სორდო — მარტი 13; 5. ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 11; 6. ატკინსონი — მაკნილი 10; 7. პეტერ სოლბერგი — მილსი (ნორვეგია, სუბარუ) 8; 8. კარლსონი — ჟირადე (შვედეთი, სიტროენი) 6; 9. ლატვალა — ანტილა 6; 10. შტოლი — მინორი 5

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 58 ქულა, სიტროენი 43, სტობარტ-ფორდი 19, სუბარუ 19, კრონოს-სიტროენი 17



# ფედერერის კანაფი კანასზე გაწყდა

## არგენტინელმა არგენტინელს რეკორდი შეუნახა

**კაცები**
ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 3 285 000 $

**მეორე წრე**

**გილერმო კანასი** (არგენტინა) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 7:5 6:2; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (19, ავსტრალია) 7:6 4:6 6:2; **დავიდ ფერერი** (14, ესპანეთი) — ლუის ჰორნა (პერუ) 6:3 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (12, სერბეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 6:4; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (20, რუსეთი) 6:4 6:7 6:3; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — იურგენ მელცერი (27, ავსტრია) 6:4 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (6, აშშ) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:3 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — სემ ქუერი (აშშ) 2:6 7:6 6:2; **იან ჰერნიჩი** (ჩეხეთი) — აგუსტინ კალერი (28, არგენტინა) 6:3 6:3; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — მარატ საფინი (23, რუსეთი) 6:3 4:6 6:0; **ენდი მიურეი** (13, ბრიტანეთი) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:3 6:3; **ტომი ჰაასი** (9, გერმანია) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 6:1; **თეიმურაზ გაბაშვილი** (რუსეთი) — დომინიკ ჰრბატი (24, სლოვაკეთი) 7:5 6:3; **რობინ სოდერლინგი** (26, შვედეთი) — დანიელე ბრაჩიალი (იტალია) 6:3 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 7:6 1:6 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი** (8, ხორვატია) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:7 6:4 6:4; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 7:6 7:5; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — მარდი ფიში (21, აშშ) 7:6 4:6 7:6; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 1:6 7:5 7:6; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) 6:7 6:3 6:0; **ხუან-იგნასიო ჩელა** (30, არგენტინა) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3 3:6 6:4; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — მარკოს ბაღდატისი (17, კვიპროსი) 7:5 7:5; **მაიკლ რასელი** (აშშ) — ტომაშ ბერდიხი (11, ჩეხეთი) 7:6 6:4

**ქალები**
ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 2 100 000 $

**მესამე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:5 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (15, რუსეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსია) 6:3 6:3; **ნა ლი** (12, ჩინეთი) — ალიონა ბონდარენკო (23, უკრაინა) 5:7 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (7, სერბეთი) — მარტინა მიულერი (28, გერმანია) 6:2 6:4; **მარტინა ჰინგისი** (3, შვეიცარია) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:2 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (14, სლოვაკეთი) — ფრანჩესკა შიავონე (18, იტალია) 6:2 7:6; **შაჰარ პეერი** (11, ისრაელი) — ლუსი შაფაროვა (19, ჩეხეთი) 6:3 1:6 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (8, რუსეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:4 6:1




AFP ინდიან უელსიდან

**მოხდა.** ის, რაც ბევრს ეგონა, რომ აღარ მოხდებოდა — როჯერ ფედერერმა ბოლოს და ბოლოს მაინც წააგო. ეს კი მართლაც უდიდესი მოვლენაა საჩოგბურთო სამყაროში — შვეიცარიელის თითოეული მარცხი უკვე ისეთივე მასშტაბის მოვლენად იქცა, როგორც რომელიმე ბობოლა ტურნირის გამართვა.

მეორეს მხრივ, დაუმარცხებელი არავინაა და ფედერერსაც ადრე თუ გვიან უნდა წაეგო, მაგრამ ეს მარცხი მაინც მოულოდნელი იყო — ჯერ ერთი, რომ „მხიარული როჯერს" უყვარს და კარგად გამოსდის ინდიან უელსში თამაში, რისი დასტურიც მისი იქ სამგზის ტრიუმფატორობაა. თუმც უმთავრესი სენსაცია მაინც ისაა, თუ ვისთან დამარცხდა დიადი ალპელი — გილერმო კანასთან, ჩოგბურთელთან, რომელმაც სულ რაღაც ორიოდ თვის წინ მოიხადა დოპინგის გამოყენების გამო მისჯილი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია. თანაც არგენტინელი ეგრედ წოდებული „ლაქი ლუზერი" (Lucky Loser) ანუ რეზერვისტი იყო, რომელსაც ტურნირზე საერთოდ არ უნდა ეთამაშა და კორტზე მხოლოდ იმიტომ გავიდა, რომ ტრავმის გამო ქსავიე მალისმა ვერ შეძლო თამაში. პლუს ფედერერმა ჰარდზე... თიხნარის სპეციალისტთან წააგო. ეს რომ გრუნტზე მომხდარიყო, ასე თუ ისე გასაგები იქნებოდა თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცის მარცხის ახსნა, მაგრამ ახლა ყველა მხოლოდ მხრებს თუ იჩეჩავს.

ამისთვის მართლა ღირდა კორტზე მობრუნება — კანასმა ახლა სულ ფეხი ფეხზე რომ გადაიდოს და არაფერი ქნას, წლეულს ყურადღება არ მოაკლდება. რატომ? იმიტომ, რომ ფედერერი სეზონში 4-5 მატჩზე მეტის წამგები მაინც არ არის და იმ კაცის გვარს ყოველთვის ხაზს გაუსვამენ, ვინც წლეულს შვეიცარიელი პირველად დასცა. თან პატაგონიელი პირველი „ლაქი ლუზერია" 1996 წლის შემდეგ, რომელმაც პირველი ნომრის დამარცხება შეძლო — 11 წლის წინ იგივე დუბაიში სენდონ სტოულმა „ჩაიდინა", როცა ტომას მუსტერი დაამარცხა.

დიად ალპელს კარიერაში გამარჯვებების ყველაზე ხანგრძლივი სერია შეუწყდა და 41-ზე გაიყინა — არადა, მხოლოდ ხუთი გამარჯვებაღა აკლდა გილერმო ვილასის რეკორდის გამეორებამდე. თუმც გუშინ „მხიარული როჯერი" სულაც არ იყო დიადი. ყურადღება აშკარად გაფანტული ჰქონდა და უჩვეულოდ ბევრ უნებლიე შეცდომას უშვებდა. ამასთანავე საკუთარ მოწოდებაზე საზიზღრად ირჯებოდა და... შედეგად შარშანდელი აგვისტოს შემდეგ პირველად იწვნია მარცხის სიმწარე.

„რა მეთქმის, თამაში საერთოდ არ წამივიდა. ჩემს მეტოქეს პირიქით, ყველაფერი გამოსდიოდა... რეკორდს რაც შეეხება, ახლა აღარაფერი ეშველება, მომავალში კი ვნახოთ" — ყველასგან განსხვავებით, წყნარად შეხვდა საკუთარ მარცხს ფედერერი.

**კახა ლომაშვილი**

# ჩიხლაძეს შვეიცარია გაუტკბა

**მთლად** დიდი და გამორჩეული ტურნირები არ იყო, მაგრამ ლადო ჩიხლაძემ ბოლო ორ კვირაში ორი ტიტული მოიპოვა — ერთი შვეიცარიულ ლოგრენში, მეორე კი ჯუჯა სახელმწიფო ლიხტენშტაინის მთავარქალაქ ვადუცში. ალპების მიდამოების ჭერქვეშა ხალიჩაზე ჩოგნის ქნევა ლადოს, როგორც ჩანს, ძალიან გაუტკბა და საქართველოს სადევისთასო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ამ კვირაშიც შვეიცარიაში ითამაშებს — ქალაქ ვილენის ხალიჩაზე და მშვენიერ ფორმაში მყოფმა, იქნებ ზედიზედ მესამე ტურნირიც მოიგოს.

ჩიხლაძის გარდა ITF-ის ეგიდის გამართულ ტურნირებზე, ამ კვირაში, სავარაუდოდ, კიდევ ხუთი ჩვენებური ითამაშებს.

ამ შეჯიბრებიდან ყველაზე წარმომადგენლობითი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ რედინგის ჰარდზე ტარდება. იქ ქალთა 25-ათასდოლარიანი ტურნირია და საქართველოს პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი წესით განთესილთა შორის უნდა იყოს.

აი, დანარჩენ ჩვენებურებს კი საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოუწევვთ სხვადასხვა რანგის ტურნირების ძირითად ბადეში მოხვედრა. ორნი — მანანა შაფაქიძე და ნათია გეგია, ისევე როგორც წინა კვირაში, ამჯერადაც ისრაელში, კერძოდ კი რაანანას ჰარდზე ცდიან ბედს. სოფო ქვაცაბაია საბერძნეთის დედაქალაქ ათენშია და სავარაუდოდ, კვალიფიკანტთა შორის იქნება, ხოლო ნორჩი ოქსანა კალაშნიკოვა ეგვიპტეში, კაიროს თიხაზე მიმდინარე შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპის მონაწილეთა შორის არის მოხსენებული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროშიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელაია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge